ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2016 წელი, 30 ივნისი, №12 (6425)

ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 40 თეთრი

გიორგი კვირიკაშვილი: საქმით დავადასტურეთ, რომ სოფლის მეურნეობა ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია

ჩვენ საქმით დავადასტურეთ, რომ სოფლის მეურნეობა ჩვენი მთავრობისთვის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა. როგორც მან აღნიშნა, მთავრობას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ქვეყნის სიძლიერე დიდად არის დამოკიდებული სოფლის სიძლიერეზე.

„სწორედ ამიტომ, ჩვენ დავიწყეთ, პრაქტიკულად, განადგურებული დარგის აღორძინება. გადავდგით უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები სოფლის გადარჩენისთვის, სასოფლო-სამეურნეო დარგების განვითარებისთვის და სტიმულირებისთვის. გლეხებისა და ფერმერების წასახალისებლად, უკვე თითქმის 4 წელია არაერთ ძალიან მნიშვნელოვან პროექტს ვახორციელებთ, რომლებიც უკვე გამოვლინდა თავისი კონკრეტული შედეგებით და ეს პროექტები მუდმივად ფართოვდება, ემატება ახალი მიმართულებები. ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ ფერმერების საქმიანობას როგორც პირველად წარმოებაში, ასევე გადამუშავებასა და რეალიზებაში. ხელი შევუწყოთ ახალი წარმოებების და საწარმოების გაჩენას“, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

მისივე თქმით, ეს ყველაფერი ერთად სოფლად ახალი სამუშაო ადგილების მყარი გარანტიაა. კვირიკაშვილის განცხადებით, მთავრობა აქტიურად თანამშრომლობს კერძო სექტორთან და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან. მისივე თქმით, ამ თანამშრომლობის შედეგად, უკვე გამოვლინდა ძალიან მნიშვნელოვანი ძვრები კონკრეტული მიმართულებით, ახალი საწარმოების გაჩენის სახით.

„ახალი საწარმოების შექმნა განაპირობებს აგრარული დარგის განვითარებას. სტიმულირებამ განავითარა სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა. გაიზარდა ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქტის წარმოება. სოფლებში კიდევ ბევრი პრობლემაა გადასაჭრელი, თუმცა, ეტაპობრივად, ჩვენ ყველაფერს მოვაგვარებთ. ნამდვილად გვაქვს საკმარისი რესურსი, რომ გავაძლიეროთ სოფლის მეურნეობა და ჩვენი პროდუქცია გავხადოთ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი. საქართველოში წარმოებული მაღალი ხარისხის პროდუქტი საკუთარ ადგილს დაიკავებს საერთაშორისო ბაზრებზე. ქართული სოფელი გახდება ეკონომიკურად ძლიერი, ჩვენი ხალხი კი წელში გამართული“, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესიაზე

24ივნისს გაიმართა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ჯემალი შავერდაშვილი. საკრებულოს წევრებმა განიხილეს განკარგულების პროექტი საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად/გამოსაფენად ადგილების განსაზღვრის შესახებ.პროექტის განხილვის და კენჭისყრის შედეგების საფუძველზე სააგიტაციო მასალების გამოსაფენად განისაზღვრა შემდეგი ადგილები:

ა) კულტ-სახლების ფასადები და მათი კაპიტალური მესერი;

ბ)სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული სასწავლო — აღმზრდელობითი დაწესებულებების კაპიტალური მესერი;

გ) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული შენობა-ნაგებობები და მათი კაპიტალური მესერი, გარდა მათი ადმინისტრაციული შენობებისა. აგრეთვე მათ მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული შენობა-ნაგებობები და მათი კაპიტალური მესერი;

დ) სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებულ ბოძებზე — სამი მეტრის სიმაღლემდე დაშვებით, მაგრამ თუ ბოძზე დამონტაჟებულია კვანძები, სადენები და სხვა ელ—მოწყობილობები — არაუმეტეს ერთი მეტრის სიახლოვისა.

ე) ბეჭდვითი სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეებისან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში, გარდა ამავე განკარგულებით აკრძალული შენობა-ნაგებობებისა“.

ასევე განისაზღვრა ის ადგილები, სადაც აკრძალულია სააგიტაციო მასალების გაკვრა/გამოფენა: საკულტო ნაგებობები, სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (მის: კუდიგორის ქ. 1, კუდიგორის ქ. 2, ი. ჭავჭავაძის ქ. 71, ი. ჭავჭავაძისქ. 118), სასამართლოს (მის: ი. ჭავჭავაძის ქ. 78), პოლიციის (მის: კუდიგორის ქ. 2ა), გამგებლის წარმომადგენლების სამსახურების შენობების ინტერიერი და ექსტერიერი, აგრეთვე საგზაო ნიშნები.

„საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად/გამოსაფენად ადგილების განსაზღვრის შესახებ“ განკარგულებაერთხმად იქნა მიღებული.

სოფლის მეურნეობა ერთი ქუდის — „ერთიანი აგროპროექტის“ ქვეშ გაერთიანდება

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები ერთი ქუდის — „ერთიანი აგროპროექტის“ ქვეშ გაერთიანდება.

როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, მიზანი კომუნიკაციის ეფექტიანობის ზრდა, დაინტერესებული მოსარგებლისთვის საჭირო პროექტების ამოცნობის გამარტივება, ერთიანი სტრატეგიის წარმოჩენა და სწორი პოზიციონირებაა.

სოფლის მეურნეობის მინისტრ ოთარ დანელიას განცხადებით, ეს ახალი ინიციატივაა, რომელიც გულისხმობს იმ პროექტების ერთიან ხედვას, რომელსაც სამინისტროში შემავალი უწყებების და პროექტების მართვის სააგენტოს ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად ხორციელდება.

დანელიას განმარტებით, ერთიანი პლატფორმის შექმნა მთავრობის ერთიანი ხედვის ოთხპუნქტიანი გეგმის შემადგენელი ნაწილია.

„რაც შეეხება შედეგებს, 200 მლნ ლარის რისკია დაზღვეული აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში, შექმნილია 150 ახალი საწარმო და საუბარია 15 ათას სამუშაო ადგილზე, საიდანაც 4 ათასი სამუშაო ადგილი არის ახალი. ასევე, მნიშვნელოვანია მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტი, რომელშიც 700 ათასამდე ბენეფიციარი მონაწილეობს და მილიარდ ლარამდე გაცემული სესხი, რომელიც დარგისთვის არის სასიცოცხლო მნიშვნელობის და რომელიც 2011 წლის მონაცემებით, 60 მლნს არ აღემატებოდა. ამას ემატება ახალი პროექტები, როგორიცაა ქართული ჩაის პროექტები, შემნახველი მეურნეობების განვითარება და იმ წარმადობისა და პოტენციალის გაზრდა, რომელიც უკვე არსებულ საწარმოებში არსებობს“ — განაცხადა ოთარ დანელიამ.

დღეისთვის მიმდინარე სახელმწიფო პროექტებია: შეღავათიანი აგროკრედიტი, საწარმოთა თანადაფინასება, აგროდაზღვევა, „დანერგე მომავალი“, მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობა, ქართული ჩაი.

დღეის მდგომარეობით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტომ განხორციელებული პროექტების ფარგლებში გასცა 26 300 სესხი, მათ შორის 25 426 საერთო სესხი, ჯამში 693 960 821 ლარის ოდენობით.

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ გაცნობებთ

აბონენტთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს აღრიცხვის სისტემაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის პროცესი. 2016 წლის ივნისის თვიდან, აბონენტები ინფორმაციას ბუნებრივი აირის დავალიანების შესახებ მიიღებენ საკონტაქტო ტელეფონის ნომერზე, SMS შეტყობინების სახით. გთხოვთ ყურადღებით მოეკიდოთ აღნიშნულ სიახლეს.

გვინდა შეგახსენოთ საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის — 12 დადგენილების, „ბუნებრივი გაზის მინოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“, თავი II; მუხლი 10; პუნქტი 10: „ქვითრის არმიღება მომხმარებელს არ ათავისუფლებს მოხმარებული ბუნებრივი გაზის საფასურის გადახდის ვალდებულებისაგან“.

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“-ს კახეთის რეგიონალური ოფისის ადმინისტრაცია

სოფლის მეურნეობის დარგში არსებული საგადასახადო შეღავათები ერთი წლით გადავადდება

სოფლის მეურნეობის დარგში არსებული საგადასახადო შეღავათები კიდევ ერთი წლით გადავადდება. კანონპროექტი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ აგრარულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე განიხილეს.

კანონპროექტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების და სოფლის მეურნეობის წარმოებაში დასაქმებულების წახალისება და სტიმულირება კიდევ ერთი წლით — 2018 წლის 1 იანვრამდე მოხდება. ამ მიზნით ცვლილებები „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ შედის. საკანონმდებლო ინიციატივის ავტორები პარლამენტის წევრები გია ჟორჟოლიანი და გელა სამხარაული არიან.

„იმედი გვაქვს, რომ ეს შეღავათები სასოფლო-სამეურნეო აქტივობების ხელისშემწყობი იქნება, ვინაიდან, სოფლის მეურნეობა დიდ დანახარჯებს მოითხოვს და მოკლევადიან მოგებაზე არ არის გათვლილი“, — განაცხადა გია ჟორჟოლიანმა.

გარდა იმისა, რომ კანონპროექტის შემუშავების მიზანია სოფლის მეურნეობის დარგში არსებული საგადასახადო შეღავათების გადავადება, იგი სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსის მისაღებად დადგენილი ვადის გაგრძელებასაც ითვალისწინებს.

კომიტეტის წევრებმა კანონპროექტს, რომელსაც პარლამენტი გამარტივებული წესით, ერთი მოსმენით იხილავს, მხარი დაუჭირეს.

მეაბრეშუმეობის დარგის განვითარება იწყება

საქართველოში მეაბრეშუმეობის დარგის განვითარება დაიწყო. როგორც „ფორტუნას“ სოფლის მეურნობის სამინისტროდან აცნობეს, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას საქართველოში მეაბრეშუმეობის დარგის აღდგენის ხელშეწყობა წარმოადგენს.

აღნიშნული მიმართულებით პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. დაწყებულია მეაბრეშუმეობისთვის საკვები ბაზის აღდგენა-შექმნა, რომელიც თუთის ჰიბრიდული ჯიშის ნერგების გაშენება-დარიგებას გულისხმობს.

მათივე ცნობით, მეაბრეშუმეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ქართველმა ბიზნესმენმა უზბეკეთიდან ჩამოტანილი თუთის 100 ათასი ნერგი სახელმწიფოს გადასცა, რომელიც ბენეფიციარებს უსასყიდლოდ დაურიგდათ. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომლები პროგრამის ბენეფიციარებს თუთის ბაღების გაშენებაში დაეხმარნენ და თუთის მოვლის აგროტექნიკური ღონისძიებების განხორციელებაში უწევენ კონსულტაციებს.

ამჟამად, აგრარული უნივერსიტეტის ბაზაზე, მიმდინარეობს თუთის აბრეშუმხვევიას დაახლოებით 45000-50000 ცალი აბრეშუმის ჭიის გამოკვების პროცესი. აღნიშნული ჯიშები ხასიათდებიან მაღალი აბრეშუმიანობითა და ძაფის სიგრძით. ამ ეტაპზე, უნივერსიტეტის ბაზაზე აბრეშუმმხვევიას მიერ პარკის ახვევა სრულდება. აღნიშნული პროცესის მიზანი მომდევნო თაობის გრენის (კვერცხი) დამზადებაა, რაც ქართული აბრეშუმმხვევიას გენოფონდის შენარჩუნებასა და გამრავლებას უზრუნველყოფს.

საქართველოში მეაბრეშუმეობის დარგს თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორია აქვს. იგი ფართოდ იყო გავრცელებული, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. მეაბრეშუმეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა თუთის აბრეშუმხვევიის ჯიშების გენოფონდის შენარჩუნება-გაუმჯობესებასა და სარეალიზაციო ბაზრების მოძიებას ითვალისწინებს.

ძვირი და არაჯანსაღი სურსათის პრობლემა საქართველოსა და სომხეთში

საქართველოში 10-17 წლის მოზარდების 50% მოკლებულია ვიტამინებით მდიდარ სურსათს; ოჯახების 14% სისტემატურად სესხულობს ფულს სურსათის შესაძენად; საქართველოს მოსახლეობის 61% ხორცეულისა და თევზეულის დეფიციტს განიცდის.

ეს ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია „ოქსფამის“ საქართველოს წარმომადგენლობის კვლევის შედეგებია. კვლევა ორგანიზაციამ სომხეთსა და საქართველოში ჩაატარა. შედეგად „ოქსფამმა“ დაასკვნა, რომ სურსათის წარმოების ინდექსი დაბალია, მასზე ხელმისაწვდომობა — რთული, ანუ ძვირი; ბაზარზე ჭარბადაა სახამებლიანი პროდუქტი, ცილები კი ნაკლებად ხელმისაწვდომია, რაც იწვევს ბავშვებში ზრდის შეფერხებას და განუვითარებლობას. „ასეთი ბავშვების მაჩვენებელი რეგიონში მაღალია“ — აცხადებენ ორგანიზაციაში.

მათივე ცნობით, რეგიონში სურსათის ძირითადი მწარმოებლები და გადამამუშავებლები ქალები არიან. „მცირე მეურნეთა 54% საქართველოში და 58.7% სომხეთში ქალია, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს სექტორი გენდერულად დაბალანსებულია. ქალები ხშირად ყველაზე მოწყვლად სოციალურ ჯგუფს წარმოადგენენ, განსაკუთრებით სოფლებში, სადაც მათ ორმაგი ტვირთი აწვეთ. მათ ხელი არ მიუწვდებათ მექანიზაციაზე და განთლებაზე და არ არიან ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში“ — ნათქვამია კვლევაში.

საქართველოში ევროკავშირის ელჩის იანოშ ჰერმანის განცხადებით, გარდა იმისა, რომ ოჯახები საკვების შესაძენად ფულს სესხულობენ, ასევე აღინიშნება ე.წ. ფარული შიმშილი, რაც გულისხმობს იმას, რომ საკვებს, რომელსაც ოჯახები მიირთმევენ ჯანსაღი არ არის.

„ამასთან, ვინაიდან ქალები არიან საკვების ძირითადი მწარმოებლები, ხშირ შემთხვევაში ისინი იჩაგრებიან, რადგან მათ ხელი არ მიუწვდებათ სრულფასოვან საკვებზე. ამან მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების საკითხში. ჩვენი მხრიდან სტრატეგიების მონიტორინგი გაგრძელდება, და არ შევწყვეტთ დახმარებას მიზნის მიღწევამდე“ — განაცხადა იანოშ ჰერმანმა.

როგორ აპირებს საქართველო აღნიშნული გამოწვევების გამკლავებას და სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარებას — სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გოჩა ცოფურაშვილი სამინისტროს მიერ შემუშავებულ სტრატეგიაზე საუბრობს. მისი თქმით, თანადაფინანსების, აგროდაზღვევის და ჩაის წარმოების წახალისების პროგრამები სწორედ მოსავლიანობის გაზრდას და თვითუზრუნველყოფის მიზანს ემსახურება.

„ჩვენ ვხედავთ ხორბალთან მიმართებაში როგორ იზრდება თვითუზრუნველყოფის დინამიკა. გასულ წელს თვითუზრუნველყოფა იყო 13%. გარწმუნებთ, რომ წელს გაცილებით მეტი იქნება, რადგან 20-30%-ით მეტ მოსავალს ველოდებით და ფართობების ნაწილშიც გაზრდილია. იმედი მაქვს, 20%-მდე მიაღწევს თვითუზრუნველყოფა ხორბალში. რაც შეეხება მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, აქაც დინამიკა არის ზრდისკენ, თუნდაც რძის ნაწილში, რადგან რამდენიმე წლის წინ არ არსებობდა სამრეწველო რძე. დღეს უკვე არის რამდენიმე ფერმა და დარგიც დინამიკურად იზრდება. იმპორტის ნაწილი მცირდება ხორცზე და შეცვლილია გეოგრაფია — გასულ წლებში ხორცის 40-დან 70%-მდე ბრაზილიიდან და ინდოეთიდან შემოდიოდა, დღეს კი ამ მხრივ წინ არის გერმანია, უკრაინა, ჰოლანდია, რაც პოზიტიური ცვლილებაა“, — განმარტავს ცოფურაშვილი.

მისივე თქმით, აუცილებელია მიწის ბაზრის ჩამოყალიბება და მცირე ფერმერთა დაკრედიტების პროგრამების შემუშავება, რაზეც ცოფურაშვილის ცნობით, ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს.

„სოფლად განვითარების მიმართულება აუცილებლად გაითვალისწინებს შინამეურნეობებს და ცალსახად ჩამოყალიბებული პოზიციაა, რომ ადამიანები რომლებიც ცხოვრობენ სოფლად, პროდუქტს ქალაქში არ უნდა ყიდულობდნენ. ის უნდა იქმნებოდეს ადგილზე“ — აცხადებს ცოფურაშვილი, ამ მიზნის მისაღწევად, კი მცირე მეურნეობების განვითარებას ასახელებს.

მცირე ზომის ფერმერების პოტენციალის ამაღლებაა სომხეთის სახელმწიფო სტრატეგიაც. სომხეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე არმენ არუთინიანი ამბობს, რომ საქართველოს მსგავსად, სომხეთიც მხარს უჭერს თვითუზრუნველყოფის პოლიტიკას. ამ მიზნით, მალე სომხეთში წინიბურის აქტიური წარმოების დაწყება იგეგმება, რათა დაეკმაყოფილოს როგორც ადგილობრივი ბაზარი, ასევე რეგიონი.

„სომხეთში, ისევე როგორც საქართველოში, იყო „კოლხიზები“ და კოლმეურნეობები. ახლა ჩვენ გვაქვს მცირე ზომის მეურნეობები. ეს იყო დიდი გადასვლა — გადავედით სახელმწიფო საკუთრებიდან კერძო საკუთრებაზე, რაც ძალიან რთული იყო, რადგან მათ არავინ კარნახობდა როგორ მოქცეულიყვნენ. ვიცით, რომ სომხეთშიც და საქართველოშიც შემოსავლის უდიდესი წილი იხარჯება კვებაზე. ამატომ ჩვენ გვაქვს სტრატეგია, რომელიც მოიცავს სოფლად ინფრასტრუქტურის განვითარებას, საკანონმდებლო ცვლილებებს და ინსტიტუციურ რეფორმას, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდას“ — აღნიშნავს არუთინიანი.

ამ კუთხით, უნგრეთის გამოცდილებაზე საუბრობს სოფლის მეურნეობის პოლიტიკის უფროსი ექსპერტი უნგრეთში ლასზლო ვაიდა. ექსპერტის განმარტებით, საბანკო სექტორი სოფლის მეურნეობის დაფინანსებით მხოლოდ მაშინ ინტერესდება, როცა ის მომგებიანია. კი მაგრამ, როგორ გავხადოთ ის მომგებიანი თუ არ დაფინანსდა? — ჩნდება კითხვა.

„სომხეთშიც და საქართველოშიც, სოფლის მეურნეობა ჯერ არ არის მომგებიანი. 90-იან წლებში ეს დარგი არ იყო მომგებიანი უნგრეთშიც და მაშინ სახელმწიფომ გამოყო დამატებითი შესაძლებლობები, დამატებითი რესურსი. გავაკეთეთ სასოფლო-სამეურნეო საგარანტიო ფონდი, რომელიც ნაწილობრივ ევროკავშირმა დააფინანსა და ნაწილობრივ უნგრეთის მთავრობამ. დიდმა კომერციულმა ბანკებმაც სერიოზული თანადაფინანსება გამოყვეს. ეს იყო განმეორებადი ფონდი და ძალიან ცოტა ფული დაიკარგა, სამაგიეროდ სერიოზული შედეგი მივიღეთ“ — განმარტავს ლასზლო ვაიდა.

კიდევ ერთი რამ, რაც უნგრეთში მცირე ზომის ფერმერების გასაძლიერებლად გაკეთდა, ექსპერტის თქმით, მწარმოებელთა ორგანიზაციების და ე.წ. ინტეგრატორების შექმნა იყო, რაც კერძო სექტორის ინიციატივის საფუძველზე მოხდა. მას შემდეგ, რაც ბანკებმა უარი თქვეს მცირე ზომის მეურნეობებთან მუშაობაზე, ფერმერებს უწევდათ თავი დიდ კლიენტებად მოეჩვენებინათ. ამისთვის კი ქმნიდნენ კოოპერატივების მსგავს ორგანიზაციებს.

„ეს იყო კოოპერატივები არა ტრადიციული გაგებით, არამედ ახალი იურიდიული ფორმით, რომელსაც ევროკავშირი მწარმოებელთა ორგანიზაციებს უწოდებს. ეს ასე ხდებოდა: მსხვილმა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მწარმოებლებმა და მიმწოდებლებმა, რომლებიც აწვდიან ბაზარს თესლს და დანადგარებს, კონტრაქტები დაუდეს რამდენიმე ინტეგრატორს. იტეგრატორი არის მაგ. 1000 მცირე ზომის მწარმოებელი, 100 ათასი ჰექტარი მიწით. ისინი ერთად მიმართავენ ბანკს, ერთად აწარმოებენ მოლაპარაკებას და თავიანთ პარტნიორებს აძლევენ კრედიტს კონტრაქტის ფარგლებში. ახლა ამ ინტეგრატორების რიცხვი შემცირდა, რადგან ფერმერები თვითონაც გაძლიერდნენ, გაიზარდა მათი ზომა და უფრო მომგებიანებიც არიან, მაგრამ თავიდან ძალიან მნიშვნელოვანი იყო ეს საგარანტიო ფონდი და ინტეგრატორი. სახელმწიფო პირდაპირ არ ეხმარებოდა ინტეგრატორებს, უბრალოდ აღიარებდა, რომ მათი როლი მნიშვნელოვანია და ერეოდა მხოლოდ მაშინ, თუ ინტეგრატორი ვინმეს ავიწროებდა. ანუ სახელმწიფო უზრუნველყოფდა ამ გარიგებების ურთიერთობის სამართლიანობას“ — აღნიშნავს ვაიდა.

იმისათვის, რომ მხარდაჭერის პოლიტიკა წარმატებული იყოს, ექსპერტების განმარტებით, დაინტერესება არა მხოლოდ მთავრობის, არამედ მცირე ზომის ფერმერების მხრიდანაც უნდა მოდიოდეს — თუ ფერმერებმა არ შეცვალეს დამოკიდებულება, ისინი ჩააგდებენ ამ პოლიტიკას, — აცხადებენ სპეციალისტები.

ვიდრე მსჯელობა გრძელდება და ჯანსაღ სურსათზე ხელმისაწვდომობა გაიზრდება, „ოქსფამის“ კვლევიდან ირკვევა, რომ ძირითადი საკვები საქართველოსა და სომხეთში პური და პურ-პროდუქტებია, რისი მოხმარებაც ამ ქვეყნებში ორჯერ აღემატება ფიზიოლოგიურ ნორმას; თუმცა, შედეგებმა აჩვენა ისიც, რომ დაუბალანსებელი კვების ერთ-ერთი მიზეზი ფინანსური სირთულეების გარდა, საკითხზე ცნობადობის ნაკლებობაცაა.

პეკინში ქართული ღვინის დღე აღნიშნეს

ჩინეთის დედაქალაქ პეკინში ქართული ღვინისა და ჩინურ-ქართული ფოლკლორის დღე „საქართველო — ღვინის სამშობლო, მეღვინეობის 8000-წლიანი უწყვეტი ტრადიცია“ აღინიშნა.

ღონისძიება ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და ჩინეთში ქართული ღვინის პოპულარიზაციის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა. მასზე მოწვეულ სტუმრებს კაფე Art Café Ku-მ უმასპინძლა. ჩინელ და ქართველ დელეგატებთან ერთად ღონისძიებას დაესწრო და სიტყვით გამოვიდა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დავით აფციაური და ქართული ღვინის წარმომადგენელი ჩინეთში მაია ცქიტიშვილი.

სტუმრებს შორის იყვნენ პეკინის წამყვანი უნივერსიტეტების (Peking University, Renmin University და სხვა), ღვინის ინდუსტრიის, ხელოვნების სფეროს, ღვინის სპეციალიზირებული და სხვა მედია საშუალებების წარმოამდგენლები.

სადეგუსტაციოდ წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის კომპანიების („თელედა“, „დუგლაძეების ღვინის კომპანია“, „კახური ღვინის მარანი“, „შალვინო“, „ტიფლისკი ვინნი პოგრები“, „მეღვინეობა ხარება“ და „თელავის ღვინის მარანი“) 30 სახეობის 100-მდე ბოთლი ღვინო. სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ ჩინეთში მოღვაწე ქართველი მოქანდაკე-მხატვრის ალექსანდრე გელაშვილის შემოქმედებას.

ღონისძიება ჩინური და ქართული ფოლკლორითა და ცეკვებით წარიმართა, რომელიც ქართული და ჩინური კერძებისა და ქართული ღვინის დაგემოვნებით დასრულდა. ჩინურ ტრადიციულ საკრავზე (უზჰენგ) შესრულებული მუსიკა და ჩინური ფოლკლორული ცეკვები კორეის ანსამბლის მიერ იქნა შეასრულებული, რომლის ორგანიზება პეკინის საერთაშორისო კულტურის განვითარების ორგანიზაციამ უზრუნველყო.

მიმდინარე წლის 5 თვის მონაცემებით ჩინეთში ექსპორტირებულია 1 242 523 ბოთლი ღვინო, რაც 106%-ით აღემატება გასულის წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. 2015 წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ქართული ღვინის ექსპორტის კუთხით — ზრდამ 2014 წელთან შედარებით 122%-ს მიაღწია, ექსპორტმა ჯამში 2 672 154 ბოთლი (0,75 ლ) შეადგინა. ჩინეთმა ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში მეოთხე ადგილი დაიმკვიდრა რუსეთის, ყაზახეთისა და უკრაინის შემდეგ

თავისუფალი ჭიდაობა

ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედალს დაეუფლა



მიმდინარე წლის 25-26 ივნისს რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის, სადაც ბრწყინვალედ იასპარეზა ყვარლის სასპორტო სკოლის აღსაზრდელმა რობერტ დინგაშვილმა. 55 კგ. წონით კატეგორიაში ფინალამდე ოთხი შეხვედრა ჩაატარა და ოთხივე შეხვედრაში უძლიერესი მეტოქეები დაამარცხა, მან მხოლოდ ფინალური შეხვედრა დათმო რუსეთის ნაკრების მოჭიდავესთან და დამსახურებულად მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი.

აღსანიშნავია, რომ რობერტ დინგაშვილი ასპარეზობდა ერთი წლით უფროს მეტოქესთან. შეგახსენებთ, რომ რობერტი შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია (მწვრთნელები ვ.ჭანტურიძე, გ. მეტრეველი, მ. როზომაშვილი).

არც კი ვიცი... რა დაგარქვა... ლექსო....

გზა — უფლისაკენ

ახლა „ლისტის რაფსოდიას“ მოვუსმენ,
მერე — არჩილ ჩიმაკაძის „კანტატას“,
ნავალ, ვნახავ ვინმე მხატვრის „მონუმენტს“
მორჩა უკვე! მორჩა თავის გატანა!

დაჭრილი ვარ ისევ თქვენი სიტყვებით,
სულში ტკენად დამრჩენია იარა,
ცრემლის წვიმა არის ჩემი ნუგეში,
თუმცა წყენამ ჯერ არ გადამიარა.

ბეთჰოვენმა მიძღვნა — „მთვარის სონატა“,
თეთრ ღრუბელმა ნისლი სადღაც გაფანტა,
წავიკითხავ ახლა ალბათ „მოპასანს“,
გოგენი კი — ისევ შიშველს დამხატავს.

ხელოვნების გზა — უფალთან მიმიყვანს,
ეს ჰანგები — დაიფრქვევა ზეცაში,
სულს უმანკოს — მე ღმერთამდე მივიტან
აბა, ხორცი დამჭირდება — მე რაში?!

ქაოსია და სიტყვების ჭიდილი,
თუმც უფალთან ბევრმა თავი იმართლა,
მე კი ვწერე ღამით სევდის ლექსები,
მერე სულშიც... სულშიც უცბად ინათლა.

ვერ დავტოვე“უიმედოდ იმედი“,
იმედს ერგო ქვეყნად დიდი მისია,
ამ ლექსების წვიმაა და თავსხმაა,
ზოგი ჩემი, ზოგიც ალბათ — სხვისია!

„ფუყე“ თავთავს ვერ დავსტყუე მარცვალი,
რადგან სულში უსაშველოდ განვიმდა,
თუ უფალი ცოტას კიდევ დამაცდის,
ცოდვებისგან მე ეს ლექსი გამწმინდავს.

ახლა „ლისტის რაფსოდიას“ მოვუსმენ,
ეს ჰანგები ვიცი არსად დამკარგავს,
ვინახულებ ყველა მხატვრის „მონუმენტს“,
აღარ ვივლი ღიმილისთვის — კარდაკარ!!!

ჩემს გაზაფხულს ვეძებ...

ეს აპრილიც — გაზაფხულის ზამთარია,
ენძელები — სულს მიწისქვეშ ითბობს,
ხან დარია — ხან ისეთი ავდარია,
იანვარი ჩაგვისახლდა თითქოს.
ამ აპრილში, როცა სულს ასე სწყურია,
ტყემლების და ალუბლების თოვა,
„ცის ზონიდან“ წეროების შემოფრენა
და იმედის გაზაფხული მოვა!
მოვა და... მეც შევიცვლები,
ავიცილებ გზააბნეულ ქარებს,
ჩემს დაკარგულ გაზაფხულებს
დრო სივრცეში — ისევ მიაქანებს.
მოხვალ... სხეულს ამითრთოლებ,
აკვნესდება ფლეიტა და ქნარი,
უფრო გავლამაზდები და...
დამერქმევა — გაზაფხულის ქალი!...
მერე წვიმა დამისველებს
ჩემს „ნაზამთრალ“ სხეულს, სულს და ლექსებს,
გაიხედე! ხომ სუყველგან აპრილია
და მე მაინც... ჩემს გაზაფხულს ვეძებ!...

ნათია სირაძე-კახიძე

ახალი ავტომაღაზია ქ. ყვარელში

ქ. ყვარელში, ჭავჭავაძის №30 გაიხსნა ავტონაწილების მაღაზია, სადაც შეგიძლიათ შეიძინოთ ყველა მარკის ავტომობილების სათადარიგო ნაწილები (ორიგინალი) ქ. თბილისის ფასებში.

მივიღებთ შეკვეთებს ავტონაწილებზე, რომელთა მიღებაც მოხდება იმავე დღეს — ან გამონაკლის შემთხვევაში მეორე დღესვე.

ტელ. 579 03 77 76, მერაბ ქარამანოვი

რატომ აშენებდნენ პირამიდებს? საიდუმლო რომელიც ბევრმა არ იცის

რატომ აშენებდნენ? ყოველ შემთხვევაში, იმიტომ არა, რომ ეგვიპტის ფარაონებს განსასვენებლები მოეწყოთ და საერთოდ, როდესაც პირამიდები შენდებოდა, მაშინ არც ეგვიპტე იყო და მითუმეტეს, არც ფარაონები არსებობდნენ.

ეგვიპტის გარდა, პირამიდები დედამიწის სხვადასხვა რეგიონებშიც არის აშენებული და მათი მდებარეობა, ზუსტად ემთხვევა ნეოლითის ხანის მიწადმოქმედების ცენტრების მდებარეობას, რომლებიც ჩვენს ერამდე XI ათასწლეულში შეიქმნა, სუბტროპიკულ და ტროპიკულ სარტყლებში ერთდროულად.

მიუხედავად იმისა, რომ პირამიდები ერთმანეთისგან გარეგნულად განსხვავდებიან, მეცნიერები თვლიან, რომ ყველა პირამიდა ერთი და იმავე დროის მონაკვეთში და ერთნაირი ტექნოლოგიით არის აშენებული.

მკვლევარების ერთი ნაწილის აზრით, პირამიდა, იმ პერიოდში, ელექტრო სადგურის ფუნქციას ასრულებდა. ამ დასკვნამდე, მეცნიერები პირამიდების აგებულების დეტალური შესწავლის შემდეგ მივიდნენ. კვლევებმა აჩვენა, რომ: ყველა პირამიდა ძლიერი მაგნიტური ველის ზონაში არის აშენებული. შიდა კედლები დოლომიტიანი კირქვით არის ამოყვანილი. ამ სახის კირქვა, 4-დან 17 %-მდე მაგნიუმის ოქსიდს შეიცავს და ელ. დენს კარგად ატარებს, ხოლო პირამიდის გარეთა კედლები, სუფთა კირქვით არის აშენებული და დენს საერთოდ არ ატარებს. ამრიგად, პირამიდის შიგნითა კედელი სადენის ფუნქციას ასრულებს, ხოლო გარეთა — იზოლაციის.

გარდა ამისა, ყველა პირამიდის თავზე, დიდი კრისტალი იყო დამაგრებული, რომელიც მზისა და ვარსკვლავების სხივების აკუმულაციას ახდენდა და დედამიწის მაგნიტურ ველთან ერთად, სხივურ ენერგიას, ელექტრო ენერგიად გარდაქმნიდა. ასე წარმოიქმნებოდა პირამიდის შიგნით ელექტრო-მაგნიტური ტალღები. ერთადერთი პირამიდა, რომელიც სრული სახით არის შემორჩენილი, ჩინეთში მდებარეობს და თეთრი პირამიდის სახელით არის ცნობილი.

დღეს, ეგვიპტის პირამიდების თავზე, კრისტალები აღარ არის, მაგრამ შიგნით მაინც ძლიერი მაგნიტური ფონია. ამის გამო, პირამიდების თავზე ფრენა აკრძალულია, რადგან დიდია თვითმფრინავის ჩამოვარდნის ალბათობა. იმის მტკიცებულებად, რომ პირამიდების შიგნით ელექტრო დენი იყო, ისიც გამოდგება, რომ არსად ჩანს ზეთის წვის კვალი და შიდა კედლებზე, ნათურები არის დახატული.

პირამიდები, რომ ელექტრო ენერგიის გამოსამუშავებლად შენდებოდა გასაგებია, მაგრამ რისთვის იყო საჭირო ეს ენერგია?

ძველი ბერძენი ფილოსოფოსის, პლატონის მტკიცებით, ჰერკულესის სვეტების გადაღმა (იგულისხმება გიბრალტარის სრუტე), ატლანტიკის ოკეანეში, წარღვნამდე, კიდევ ერთი კონტინენტი არსებობდა, რომელზეც მაღალგანვითარებული ცივილიზაციის წარმომადგენლები, ატლანტები ცხოვრობდნენ. მათ ნავებისა და გემების გარდა, სხვადასხვა სახის საფრენი აპარატებიც ჰქონდათ და მთელ პლანეტაზე დაპყრობით ომებს აწარმოებდნენ. სავარაუდოდ, სწორედ ამ საფრენი აპარატებისთვის იყო საჭირო პირამიდებში გამომუშავებული ელექტრო ენერგია.

ეგვიპტეში, დენდერის ჰატჰორის ტაძრის გარე კედელზე, იეროგლიფებთან ერთად, ამოტვიფრულია მფრინავი ობიექტების ფორმის ფიგურები, რაც პლატონის სიტყვებს ადასტურებს.

ყოველივე ამის შემდეგ, მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ატლანტებმა დედამიწის სხვადასხვა რეგიონების კოლონიზაცია მოახდინეს, იქ მიწათმოქმედების ცენტრები დაარსეს და კოლონიების გასაკონტროლებლად საჭირო გახდა პირამიდების აშენება, სწრაფი და მარტივი კომუნიკაციისთვის.

ეს ყველაფერი, 12 000 წლის წინ, ანუ ჩვენს ერამდე 10 000 წლის წინ ხდებოდა (იხ. ეგვიპტის პირამიდები ჩვენი ცივილიზაციის მიერ არ არის აშენებული) და ვინ იცის, დღეს რა იქნებოდა, რომ არა წარღვნა დედამიწაზე

შუმერული ჩანაწერების მიხედვით, მარსსა და იუპიტერს შორის, კიდევ ერთი პლანეტა იყო, რომელიც დღეს ფაიტონის სახელით არის ცნობილი და კიდევ ერთი პლანეტა, მზიდან საკმაოდ მოშორებით — პლანეტა ნიბირუ, რომელიც ბოლო ვიზიტის დროს, ფაიტონს შეეჯახა და ნამსხვრევებად აქცია. შეჯახების შედეგად, ფაიტონის ორბიტაზე ასტეროიდების სარტყელი გაჩნდა. დიდი კატასტროფა მოხდა, ფაიტონის სიახლოვეს მდებარე, პლანეტა მარსზე, რომლის დროსაც მას ქერქი სკალპივით გადასძვრა. ხოლო დედამიწაზე, ჩამოვარდნილმა ფაიტონის ნაწილმა, რომელიც 2 მილიონ ტონაზე მეტს იწონიდა, დედამინის ქერქი გახეთქა. შეჯახების დროს გამოყოფილი ენერგია 30 000 ატომური ბომბის აფეთქების დროს გამოყოფილი ენერგიის ტოლი იყო. წარმოიქმნა დიდი რაოდენობით წყლის ორთქლი, რომელიც შემდეგ, ხანგრძლივი წვიმების მიზეზი გახდა. ოკეანეში წარმოიქმნა ცუნამი, 10 კმ-იანი ტალღებით და ყველა კონტინენტი გადარეცხა ანუ წარღვნა მოხდა დედამიწაზე. პლატონი ატლანტიდის დაღუპვის თარიღად, ჩვენს ერამდე, მეცხრე ათასწლეულს ასახელებს. ამ თარიღის და შუმერების მიერ ხსენებული, პლანეტა ნიბირუს დედამიწის სიახლოვეს გამოჩენის ქრონოლოგიის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავადგინოთ, დედამიწაზე მომხდარი წარღვნისა და ატლანტიდის დაღუპვის ზუსტი თარიღი.

ძველი შუმერული ჩანაწერების მიხედვით, ატლანტები სწორედ ნიბურუდან ჩამოვიდნენ დედამიწაზე. აქ, სავარაუდოდ, ატლანტიკის ოკეანეში მდებარე კონტინენტზე, ატლანტიდა დაარსეს. იგივე ჩანაწერების მიხედვით, ატლანტები დედამიწაზე, ოქროს მოსაპოვებლად 445 000 წლის წინ ჩამოვიდნენ. არქეოლოგებმა, სამხრეთ აფრიკის ტერიტორიაზე, მართლაც აღმოაჩინეს საბადო, რომელშიც ოქროს 100 000 წლის წინ მოიპოვებდნენ, ხოლო მოსახლეობა ამ ტერიტორიებზე, მხოლოდ 80 000 წლის წინ გამოჩნდა. შუმერული ქრონოლოგიის მიხედვით, დედამიწის სიახლოვეს, პლანეტა ნიბირუ, ყოველ 3 600 წელიწადში ერთხელ ჩნდებოდა და ოქრო მიჰქონდა. ე. ი. წარღვნა დედამიწაზე, ჩვენს ერამდე, 8 800 წლის წინ უნდა მომხდარიყო.

სიტყვა ნიბირუ, შუმერულ ენაზე, „შეხვედრის ადგილს“, „გადასვლის ადგილს“ ნიშნავს. ძველი ასირიული სახელმწიფოს ტერიტორიაზე (ერაყი), ნაპოვნი არის შუმერული ცივილიზაციის არტიფაქტი, წრიული ფორმის თიხის ფირფიტა, რომელიც შუმერული ცივილიზაციის დროინდელი, „კოსმოსური ხომალდების მართვის სახელმძღვანელო“ არის. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ის ასევე შეიცავს ინფორმაციას, შუმერების ღმერთების (შუმერები ატლანტებს ღმერთებად მოიხსენიებდნენ, რადგან მათ ფრენა შეეძლოთ) ნიბირუსზე გაფრენის მარშუტის შესახებ.

პლანეტა ნიბირუ, ძველ შუმერულ ჩანაწერებში, X სიმბოლოთი არის გადმოცემული და მისი ადგილმდებარეობის დადგენა, ამ ჩანაწერების შესწავლით და ცილინდრის ფორმის შუმერული ბეჭდით შეიძლება, რომელიც ჩვენს ერამდე, მე-5-ე ათასწლეულით არის დათარიღებული.

ის რომ ნიბირუ შუმერების ფანტაზიის ნაყოფი არ არის და მართლაც არსებობს, უახლესი კვლევებით მტკიცდება: კალიფორნიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მეცნიერებმა მაიკლ ბრაუნმა და კონსტანტინე ბატიგინმა წარმოადგინეს, მზის სისტემაში, მე-9-ე პლანეტის არსებობის მტკიცებულება. ეს პლანეტა მზიდან უფრო მეტად არის დაშორებული, ვიდრე პლუტონი. მისი დანახვა ტელესკოპით ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. მაგრამ როგორც მეცნიერები ამბობენ, პლანეტის აღმოჩენა შესაძლებელი გახდა, შორეულ კოსმოსში, მცირე ზომის ციურ სხეულებზე დაკვირვებით. მათი მტკიცებით, პლანეტა X-ის მასა, დაახლოებით, 10-ჯერ აღემატება დედამიწის მასას.

მ. ბრაუნის და კ. ბატიგინის კვლევები, დეტალურად, ასტრონომიულ ჟურნალში არის გამოქვეყნებული.

წყარო: post.tvfree.ge

სკოლა ჩემთვის მეორე ოჯახი იყო

განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად არაერთი უმნიშვნელოვანესი რეფორმა მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში. დღეს უკვე კარზეა მომდგარი ეროვნული გამოცდები და მისი ცენტრი როგორც ყოველთვის, ახლაც ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ამ აქციას მომზადებულები შეხვდნენ, რომ მოსწავლეებმა ყოველგვარი პრობლემის და აღელვების გარეშე შეძლონ სირთულის დაძლევა, რაც ყოველ წელს მისაღებ გამოცდებს ახლავს თან. წლევანდელი საატესტატო გამოცდებიც დამთავრდა და სკოლადამთავრებულები თავად აირჩევენ თუ როგორ უნდა წარმართონ თავიანთი ცხოვრების გზასავალი. მასწავლებლობა, განათლების სისტემაში მუშაობა რთული საქმეა, ყოველწლიურად ტარდება მასწავლებელთა ტრენინგები, გადამზადების კურსები, სწორედ მათზეა დამოკიდებული თუ ქვეყანას როგორი განათლებული მომავალი ეყოლება, როგორ საქართველოს ავაშენებთ. პედაგოგისთვის, რომელიც მთელი წლები ბავშვებთან ურთიერთობაში ათენ-აღამებდა, ძნელია სკოლა დატოვოს და პენსიაზე გავიდეს. ქალბატონი ლენა ლოლიაშვილი, ყვარლის პირველი საჯარო სკოლის ყოფილი ქიმიის მასწავლებელი ერთ-ერთი იმათგანია, რომელიც კარგა ხანია თავისი მოსწავლეების და სკოლის გასაყარ გზას დაადგა და ცხოვრების ბოლო წლებს სახლში ატარებს. თუ რა გზა გამოიარა იმ წლებში და რამდენად რთული იყო მისთვის თავისი პროფესიის დატოვება, ამაზე თავად საუბრობს.

— ლენა მასწავლებელო, შეგახსენებთ, რომ თქვენ ჩემი და ჩემი შვილების მასწავლებელიც იყავით, დღემდე ვამაყობთ ამით და ხშირად ვიხსენებთ, რომ იყავით კარგი ქიმიკოსი და რაც მთავარია, გქონდათ მოსწავლეებთან მიდგომის და ურთიერთობის დიდი შარმი, რაც ყოველთვის დადებითად აისახებოდა თვითეულ ჩვენგანზე. როგორ აღწევდით ამას და საერთოდ როგორი უნდა იყოს მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ურთიერთდამოკიდებულება ცოდნის გაღრმავების მიზნით?

— მე რომ ახალგაზრდა ვიყო და პროფესიის არჩევაზე იყოს საქმე, ისევ მასწავლებლობას ავირჩევდი და თანაც ქიმიის მასწავლებლობას. მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის თავისთავად მყარდება ურთიერთობა, მასწავლებელი როდესაც კარგად ფლობს თავის საგანს, ამით ის მოსწავლეების ნდობას და პატივისცემას იმსახურებს. მოსწავლეებისთვის გაკვეთილი საინტერესო ხდება, მით უფრო ქიმიის გაკვეთილი, რომელიც „დახუნძლულია“ ცდებით და საინტერესო ამბებით.

ბავშვი ყველა კარგია, არიან ბეჯითი და ზარმაცი ბავშვები, ხან ისეთ აზრს გამოთქვამენ, მასწავლებელს გაუკვირდება და გაუხარდება, იტყვის, აი, რა კარგი გონება ჰქონიაო. მოსწავლეებს უყვართ საგნობრივ წრეში მუშაობა. ჩვენი სკოლის ქიმიის კაბინეტს ამშვენებდა დ.ი. მენდელეევის ქიმიურ ელემენტთა პერიოდული სისტემა, გამოჩენილი ქიმიკოსების ფოტოები. ერთხელ ქიმიის წრის მეცადინეობაზე მოსწავლეებმა წამოჭრეს საკითხი ქიმიის კაბინეტის ქოთნის ყვავილებით გალამაზებაზე. მეორე დილით წრის წევრმა გია იმერლიშვილმა მოიტანა დიდი ლამაზი ქოთნის ყვავილი და გამწოვი კარადის თავზე შემოდგა, სხვადასხვა სახის ყვავილი მოიტანეს სხვა მოსწავლეებმაც და ასე გაალამაზეს კაბინეტი.

— მრავალი ათეული წელი ემსახურეთ თქვენს საყვარელ სკოლას და ვფიქრობ დამარცხებული და სახელშებღალული არ დარჩით არც მოსწავლეების და არც პედკოლექტივის წინაშე. თქვენთვის ალბათ სასიამოვნოც არის, რომ თქვენს სკოლაში აღზრდილი ბევრი კარგი მოსწავლე დღეს ამაყად დააბიჯებს ყვარლის ქუჩებში და წარმატებებულები არიან თავიანთ სამსახურებრივ თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში. ეს არა მარტო პედაგოგიური კოლექტივის, არამედ თქვენი როგორც ქიმიის მასწავლებლის დამსახურებაც არის. რამდენად საამაყოა დღეს ეს თქვენთვის?

— ნამდვილად საამაყოა ყველა მასწავლებლისთვის და მათ შორის ჩემთვისაც, რომ ყვარელში ბევრი პირველ სკოლადამთავრებული დააბიჯებს, რომლებიც შესანიშნავად უძღვებიან მათზე დაკისრებულ საოჯახო, სოფლის მეურნეობის წარმოების, ჯანმრთელობის თუ სხვა სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ საქმიანობას. თავადაც იამაყებენ იმით, რომ იყვნენ ყვარლის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეები.

— რეპეტიტორებზე რას გვეტყვით. კომპიუტერების ხანა კია, მაგრამ მოსწავლეს დღეს მაინც სჭირდება რეპეტიტორი; ამაზე რა აზრის ხართ?

— არიან მოსწავლეები, რომლებიც სკოლიდან ღებულობენ საკმაო ცოდნას, ისეთს, რომ კარგად გაართვან თავი ეროვნულ გამოცდებს. მაგრამ არის შემთხვევები მოსწავლეს თავისი გონების შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის მიხედვით სჭირდება დახმარება, მაშინ შეიძლება იმეცადინოს დამატებით, მაგრამ ამ მეცადინეობამ ე.წ. „რეპეტიტორობამ“ არ უნდა მიიღოს მასობრივი ხასიათი.

— ამ წლების განმავლობაში განათლების სამინისტროს მიერ მრავალი რეფორმა გატარდა, რა პარალელს გაავლებდით დღევანდელი და ძველი სკოლის რეფორმებს შორის.

— განათლების სამინისტროს მიერ გატარებულ ადრინდელ და დღევანდელ რეფორმებს შორის ჩემი აზრით საერთო არის ის, რომ სკოლაში მოსწავლის აღზრდა, სწავლება იყოს მაღალ დონეზე, საშუალო სკოლა დამთავრებულს შეეძლოს დამოუკიდებლად საქმის წარმოება.

— ლენა მასწავლებელო, პენსიაზე გასვლის შემდეგ ბევრი პრობლემა გადალახეთ ჯანმრთელობის მხრივ, მაგრამ მაინც მხნედ გმოიყურებით. რა გეხმარებათ ამაში?

— მხნედ აღარ გამოვიყურები, ეს ბუნებრივია. ჯერ ერთი ასაკი და მეორეც ჯანმრთელობა, მაგრამ, ცხოვრებიდან გამომდინარე, ადამიანი ოჯახური პრობლემების, გაჭირვების ან ჯანმრთელობის შერყევის დროს უნდა იყოს მტკიცედ, არ უნდა დაიჩოქოს, რომ არ დარჩეს ცხოვრების ფსკერზე, თვითონაც მხნედ იყოს და არც სხვა შეაწუხოს. ალბათ ამ მხრივ ჩემიდან გამომდინარე ძალა მეხმარება ამაში.

— თუ გენატრებათ სკოლა და თუ გაქვთ ურთიერთობა თქვენს ძველ კოლეგებთან. თქვენი პედაგოგიური მოღვაწეობის ხანიდან სკოლასთან და მოსწავლეებთან დაკავშირებულ რაიმე ინციდენტს ხომ არ გაიხსენებდით?

— ჩემი სკოლა, ჩემი საამაყო ყვარლის პირველი საჯარო სკოლა ძალიან მიყვარს და მენატრება. სკოლა ჩემი მეორე ოჯახი იყო, ძალიან მიყვარან და მაქვს ურთიერთობა ჩემს მეგობრებთან, კოლეგებთან. რაც შეეხება ინცინდენტს, — ქიმიის მასწავლებელი უნდა იყოს ფრთხილი და უშიშარი. ახალგაზრდა დამწყები მასწავლებელი ვიყავი. მე-7 კლასში თემას — წყალბადს და მის ქიმიურ თვისებებს განვიხილავდით, წყალბადი თუ სუფთაა, წყნარად, უხმაუროდ იწვის, თუ ჰაერი არ არის გამოდევნილი, ძლიერ ფეთქებადია, რომ მივიტანე ანთებული ასანთის ღერი, მოხდა ძლიერი აფეთქება, დაიმსხვრა თვითნაკეთი ხელსაწყო. საბედნიეროდ, მეც და ბავშვებიც უვნებლად გადავრჩით. მე შევშინდი, ბავშვებმა კი სიხარულის ნიშნად შემოკრეს ტაში, — მთხოვეს, ლენა მასწავლებელო, რა კარგი ცდა იყო, კიდევ ჩავატაროთო, მათ ეგონათ, რომ ასეთი ცდა უნდა ჩაგვეტარებინა. მომდევნო გაკვეთილზე კი მივიღეთ წყალბადი და ჩავატარეთ ქიმიური თვისებებისთვის დამახასიათებელი ცდები.

— რაზე ფიქრობს დღეს მრავალწელგამოვლილი პედაგოგი, პენსიონერი, ქალბატონი ლენა ლოლიაშვილი? თქვენი საოცნებო სურვილები.

— ჩემი საოცნებო სურვილია მშვიდობა საქართველოში, ჩვენს ახალგაზრდებს ჰქონდეთ უღრუბლო ცა, მინდა ჩემი შთამომავლების კარგად ყოფნა, მათი ნორმალური საქმიანობა და რაც მთავარია, ყველა სკოლაში სწავლა-აღზრდის საქმე დაყენებული იყოს მაღალ დონეზე.

გმადლობთ, გისურვებთ გამოჯანმრთელებას.

ესაუბრა დალი ტატულიშვილი

წიგნის მოყვარულთა საყურადღებოდ!



საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ინიციატივითა და საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით 2016 წლის ივნისში ვაუჩერიზაციის პროექტით განხორციელდა ყვარლის მუნიციპალიტეტის მთავარ ბიბლიოთეკაში ახალი წიგნების მიღება.

წიგნებით სარგებლობა შეუძლიათ როგორც საჯარო სკოლების I-XII კლასის მოსწავლეებს, ისე ყვარლის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა ყველა კატეგორიის მკითხველს.

მიღებულია წიგნები: „მატყუარა ბიჭი და მგელი“, „ერეკლე მეფე“, „გამოცანები“, ნ. დუმბაძის საბავშვო ლექსები, ხალხური საბავშვო ლექსები, „სამი ბუმბული“, „ოქროს კვერცხის მდებელი ქათამი“, „ასანთის გამყიდველი გოგონა“, „პატარა სირინოზი“, „სინდბად-მეზღვაურის მოგზაურობა“, „ბაბაიაგა“, „ბრონეულის ასული“, „კულულა და სამი დათვი“, „ჭენზელი და გრეტელი“, „ალადინი““,შინაური ცხოველები“, „უშიშარი მეფის ასული“, „განძის კუნძული“, „ტყეების მეფე — ლეგენდები დავით აღმაშენებელზე“, „საიდუმლო კუნძული“, „ბიძია თომას ქოხი“, „უფლისწული და სამი მათხოვარი“, „პინოქიოს თავგადასავალი“, „ჩიპოლინოს თავგადასავალი“, „მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები“, „ძმები გრიმების ილუსტრირებული ზღაპრები, „მატყუარა მწყემსი ბიჭი“, „ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა“, „ჰარი პოტერი და ცეცხლოვანი თასი“, „ბუსუნსულები“, „მხიარული ზღაპრების კალათა“, საქართველოს ისტორიული ატლასი, 12 კეისრის ცხოვრება, მიხეილ ჯავახიშვილის პირველი ტომი („ჯაყოს ხიზნები“), კონსტანტინე გამსახურდიას მესამე ტომი („დიდოსტატის მარჯვენა“), პარმის სავანე 1,2 ნაწილი, ჰიუგოს „საბრალონი“ — 1,2,3,4 ტ, „დამცირებული და შეურაცხყოფილი“, „ლამაზი“ მეგობარი, „ნუ მოკლავ ჯაფარას“, „ბედის ვარსკვლავის ბრალია“, „თავისუფლების ორმოცდაათი ელფერი“, „გოგონა დრაკონის ტატუთი“, „მე ვარ მალალა“, „მორიდებული ზურმუხტი“, „იყო და არა იყო რა“, „დიადი“, „მუნჯი“.

მობრძანდით ბიბლიოთეკაში, ცოდნის ამ დიდ ტაძარში და იქ ნათლად გაიგებთ:

„რა ვაკეთეთ, რა გზა განვვლეთ,
სად რა ქრება, სად რა იწვის,
სად რა ხალხი როგორ სახლობს,
სულ იმ კარგი წიგნით ვიცი“.
(გ. კაჭახიძე)

მზია აბესაძე,
ყვარლის მუნიციპალიტეტის
საბიბლიოთეკო გაერთიანების გამგე

ბოშების რეალური ისტორია —

როგორ ეპყრობოდნენ ბოშებს საუკუნეების განმავლობაში

ბოშები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში არიან. ისინი საუკუნეების განმავლობაში ქვეყნებს შორის გადაადგილდებოდნენ. ბოშებზე არსებობს სტერეოტიპი, მათ შორის საქართველოში, რომ ისინი არიან აგრესიულები, ცხოვრობენ არაჰიგიენურად და არ არიან კანონმორჩილები. ამის გამო, არცერთ ქვეყანაში ბოშების ჩასვლას არ მიესალმებიან. თუმცა, ძალიან ცოტამ იცის მათი რეალური ისტორია. გთავაზობთ საინტერესო ფაქტებს ბოშების შესახებ:

ბოშები წარმოშობით ინდოელები არიან. არსებობს არაერთი დამადასტურებელი არგუმენტი, როგორც გენეტიკურად, ასევე ლინგვისტურადაც იმის შესახებ, რომ ბოშები წარმოშობით ჩრდილოეთ ინდოეთიდან არიან.

2012 წელს სამეცნიერო ჟურნალ Cell Biology-ში გამოქვეყნებული კვლევის მიხედვით, ევროპის მასშტაბით მცხოვრებ ბოშათა 13 დასახლებაში გენური მონაცემები შეისწავლეს. შედეგად მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ბოშები 1500 წლის წინ ჩრდილოეთ ინდოეთიდან წავიდნენ სხვადასხვა ქვეყანაში. ევროპაში დღეს მცხოვრები ბოშები კი ბალკანეთის ქვეყნების გავლით დაახლოებით 900 წლის წინ გადასახლდნენ.

მსოფლიოს მასშტაბით სულ 12 მილიონი ბოშა ცხოვრობს. ჩრდილოეთ ინდოეთის დატოვების შემდეგ, ბოშების დიდი ნაწილი ევროპის მიმართულებით წავიდა. კერძოდ, რუმინეთსა და ბულგარეთში. სწორედ ამ ქვეყნებში ცხოვრობს ბოშების 12% დღემდე. ბოშების რიცხვი თურქეთშიც დიდია (2.75 მილიონი). სხვა ქვეყნები, სადაც ბოშების რიცხვი დიდია, არის რუსეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, სერბეთი, ესპანეთი და საფრანგეთი. ამასთან, აშშ-ში დაახლოებით 1 მილიონი ბოშაა, ბრაზილიაში კი 800 000.

ბოშები საუკუნეების მანძილზე სასტიკი დევნის მსხვერპლი იყვნენ. ევროპაში ჩასვლის შემდეგ, ბოშებს ბევრ რეგიონში მონებად იყენებდნენ. შუა საუკუნეებში ინგლისში, შვეიცარიასა და დანიაში, ბოშებს კლავდნენ. გერმანიაში, იტალიასა და პორტუგალიაში კი ყველა ბოშას ქვეყნიდან აძევებდნენ.

არსებობს უამრავი შემთხვევა, როდესაც ბოშა ბავშვებს მშობლებს ართმევდნენ, ასევე ბოშა ქალებს აწამებდნენ. ამასთან, ბოშების ასიმილაციის მიზნით, ბევრ ქვეყანაში მათი ენა აკრძალეს კიდეც.

ბოშების ყველაზე სასტიკი დევნა მეორე მსოფლიო ომის დროს მოხდა, მაშინ როდესაც ბოშები ფაშისტურ გერმანიაში არაადამიანური მოპყრობის პირველი სამიზნეები გახდნენ. დაახლოებით 2 მილიონი ბოშა დაიღუპა საკონცენტრაციო ბანაკებში იმ პერიოდში.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ბოშები კვლავ შევიწროვებულ ჯგუფს წარმოადგენდა, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირში. 1980-იანი წლების დასაწყისში, ბოშა ქალებს მაშინდელ ჩეხოსლოვაკიაში იძულებით სტერილიზებას უკეთებდნენ, რათა თავიდან აეცილებინათ ბოშების გამრავლება.

ბოშების კულტურა მდიდარი და შთამბეჭდავია. ბოშებს უდიდესი მუსიკალური მემკვიდრეობა გააჩნიათ, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მაოხდინა ჯაზზე, ბოლეროზე, ფლამენკოზე.

ტრადიციულად ბოშები ადრეულ ასაკში, დაახლოებით 12 წლის ასაკში ქორწინდებიან. ეუთოს 2006 წლის ანგარიშის მიხედვით, ბოშების ზოგიერთ ბანაკში ხშირი იყო ბავშვთა ტრეფიკინგი. ბავშვებს ხშირად აიძულებენ მუშაობას, ასევე ხშირია სექსუალური ექსპლუატაციის შემთხვევებიც.

ბოშები დღემდე შევიწროვებულები არიან. ისინი ყოველთვის თავიდან იცილებდნენ მასპინძელ ქვეყანაში საზოგადოებასთან ასიმილაციას. ამასთან, იმის გამო, რომ ბოშები გარიყულები არიან დანარჩენი საზოგადოებისგან, ბევრი ბოშა ბავშვი სკოლებშიც კი არ დადის. მათ არ აქვთ ასევე სტაბილური სამსახური, სახლი, არ აქვთ წვდომა ჯანდაცვაზე და სხვა სოციალურ სარგებელზე. ბოშების დიდი ნაწილი სიღარიბეში ცხოვრობს.

მომზადებულია
livescience-ის მიხედვით

მეპურეებო, მადლს კი შვრებით, რომ პურს გვაჭმევთ, მაგრამ პურს ნუ გადაამლაშებთ

მეტად მარილიან საჭმელს ვეძას ვეძახით, ვიტყვით, რა ვეძასავითაა. „ვეძა“ წყალი გამიგია, საჭმელიც, პური არა. თუმცა, როგორ არა; ჩვენი ქალაქის ზოგიერთ პურსაცხობში ნამდვილად ცხვება ასეთი სახის პური. გამოგიტყდებით და მიყვარს ოდნავ მეტი მარილიანი საჭმელი, მაგრამ პურს საკმაოდ მარილიანს ვერა და ვერ შევეგუე. სხვადასხვა სახის საჭმელს სხვადასხვანაირად გამომცხვარი პური უხდება, ამიტომ ჩვენ გვინევს პურის არჩევა. ერთხელაც მცხობელებს შევბედე და ვუთხარი, — იქნებ თქვენს გამომცხვარ პურს ოდნავ მარილი დააკლოთ მეთქი და ასეთი პასუხი მივიღე, — მარილი რომ დავაკლოთ, პური სულ დაბლა ჩაცვივდებაო. საკითხავია, მაშ როგორ ცხვება სხვა პურსაცხობებში ნორმალური გემოვნებით პური? მათთვის რა, ის დოზები მარილისა არ არსებობს და არ იყენებენ? აბა სცადეთ, უყავით თქვე დალოცვილებო ნაკლები მარილი და ნახავთ თუ არ მიიკრავს. ჩვენი მამა-პაპანი, დღევანდელ შემორჩენილ საოჯახო თონეებში მარილის ნორმალურ დოზიან პურს აცხობდნენ და აცხობენ, არც უცვივდებათ,იყო გემრიელი და არის დღესაც; „წავიდა დრო, ის ცხოვრება აღარ არისო“ — ვიტყვით. ხალხისგანაც შემინიშნავს ჭამის დროს რომ უთქვამთ, ვაი, რა მარილიანიაო! ამ სტატიის წაკითხვის შემდეგ პურისმცხობლები, ვფიქრობ თავად მიხვდებიან, ვისგანაც მოდის რეალიზაციაში ასეთი სახის პური.

ერთს კიდევ შეგახსენებთ. მეპურეებო, მადლს კი შვრებით, რომ პურს გვაჭმევთ, მაგრამ პურს ნუ დაამლაშებთ. აი, მაშინ იქნება მადლი, როცა ნორმალურად შეზავებულ პურს შეგვაჭმევთ. დამიჯერეთ,პურს რაც უფრო ნაკლები მარილი აქვს, უფრო გემრიელია. ხოდა, უკეთესი არ იქნება ყველასთვის მივირთვათ გემრიელი, კარგად გაფუებული პური. ილიას მშობლიურ და ტურისტულ ქალაქს ყველაფერი ხარისხიანი მოეთხოვება.

მომხმარებლები

ორგანიზმისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროდუქტები

ბროკოლის მოვლის, მოყვანის და სასარგებლო თვისებების შესახებ

დღეს, თანამედროვე ტექნოლოგიების სამყაროში, როცა ყველანაირი ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომია და შეგვიძლია ნებისმიერ სფეროში ამომწურავი მასალა მოვძებნოთ, ხშირად გვხდება ისეთ თემაზე დაბეჭდილი სტატიები, რომელიც ეხება საკვები პროდუქტების ხარისხს, ასევე, რომელი პროდუქტებია ჯანმრთელობისთვის აუცილებელი და სასარგებლო.

ფაქტია, რომ უკანასკნელ პერიოდში ბევრი ნაკლებად ცნობილი პროდუქტი გახდა პოპულარული საქართველოში, გამომდინარე მათი სასარგებლო თვისებებიდან. მათ შორის უპირველესად იგულისხმება სოფლის მეურნეობის პროდუქტები.

ერთერთი მათგანი გახლავთ ბროკოლი, რომელიც საკმაოდ მოთხოვნადი გახდა და მისი მოყვანითაც დაინტერესდა ჩვენი მოსახლეობა.

ზოგადი ინფორმაცია

ბროკოლის (სატაცურა კომბოსტო) სამშობლოა სამხრეთ იტალია, ბოლო ცნობებით მიღებულია სახალხო სელექციის გზით, ჯერ კიდევ V-IV საუკუნეში ჩვენს ნელთაღრიცხვამდე.

ამჟამად ბროკოლი ფართოდაა გავრცელებული საფრანგეთში, კანადაში, აშშ-ში, იაპონიაში და სხვა ქვეყნებში.

საკვებად იყენებენ მკვრივ თავებსა და გვერდით ამონაყრებს.

კულტურის სპეციფიკური მოთხოვნები

ბროკოლი სინთლის და ტენის მოყვარული მცენარეა, ბროკოლი მაღალი მოსავლიანობით გამოირჩევა მძიმე, ნაყოფიერ, უხვტენიან ნიადაგებზე. მისთვის ასევე ვარგისია მსუბუქი და საშუალო თიხნარი ნიადაგები. თუმცა ბროკოლი, პრაქტიკულად ნებისმიერ ნიადაგზე შეიძლება მოიყვანო, გამონაკლისია ქვიშიანი და ჭაობიანი ნიადაგები.

არ შეიძლება მისი მოყვანა კომბოსტოს ოჯახის ნარმომადგენელთა შემდეგ. ძველ ადგილას ბროკოლი მხოლოდ 4-5 წლის შემდეგ შეიძლება დავრგათ. კარგი წინამორბედი კულტურებია: პარკოსნები, კარტოფილი, კიტრი, პომიდორი, ჭარხალი, ხახვი

ბროკოლის მოყვანის ძირითად წესები და აგროტექნიკა

ბროკოლის მოყვანისთვის ნიადაგის ტენიანობა უნდა იყოს — 70%, ჰაერის ტენიანობა — 85%. ყვავილოვან კომბოსტოსთან შედარებით ყინვის და სიცხის ამტანია. მას შეუძლია — 4-დან — 7 გრადუს ყინვას გაუძლოს.

ბროკოლის მოყვანისთვის საუკეთესო ტემპერატურაა 16-დან 200 გრადუსმდე

ბროკოლი სინათლის მოყვარული მცენარეა, ამიტომ მის მოსაყვანად ირჩევენ მზიან ნაკვეთებს. ბროკოლისათვის შერჩეულ ნაკვეთზე შემოდგომით შეაქვთ კომპოსტი ან გადამწვარი ნაკელი (5-6კგ/მ2) და გადაბარავენ.

გაზაფხულზე ნიადაგს არ ბარავენ, მხოლოდ ზედაპირულად აფხვიერებენ ფოცხით.

ნიადაგი: პ: 6,5 — 7,0. თუ ნიადაგის მჟავიანობის მაღალია, მისი განეიტრალება შესაძლებელია მოკირიანებით ან წვრილად დაფქვილი დოლომიტის ფქვილის გამოყენებით.

შესატანი რაოდენობა, მჟვიანობისა და ნიადაგის სიმძიმის ხარისხიდან გამომდინარე, მერყეობს 3-4ტ ჰექტარზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ღონისძიება (მოკირიანება) 15-20% — ით ამცირებს კომბოსტოს თავში მძიმე მეტალების შემცველობას.

ჩითილის გამოყვანა და გადარგვა

ბროკოლი მოჰყავთ როგორც თესლით, ასევე ჩითილით. საადრეო მოსავლის მისაღებად იყენებენ ჩითილის მეთოდს. თესლს მარტში თესავენ, ხოლო მუდმივ ადგილზე ჩითილს გადარგავენ 35-45 დღის შემდეგ. გადარგვა ხდება 4-6 ფოთლის ფაზაში.

თესვის სიღრმე 1-2 სმ.

კვალში ჩითილის გადარგვა ხდება აპრილის ბოლოს — მაისის დასაწყისში. წინა დღეს ჩითილებს რწყავენ. გადარგვისას ჩითილს ნიადაგში ათავსებენ 2სმ-ით უფრო ღრმად, ვიდრე იგი იყო საჩითილე ნაკვეთზე, და კარგად შემოაყრიან მინას ღეროს ირგვლივ.

გადარგვის შემდეგ მცენარეებს რწყავენ. მწკრივში დარგვის სქემა შემდეგია:

ბროკოლის ამოსვლის შემდეგ აღმონაცენს ამეჩხერებენ. ძირითადი თავაკის მისაღებად ხშირი ნარგავია საჭირო-სქემით რიგებს შორის 50-60 სმ, რიგებში მცენარეთა შორის 20-30 სმ.

გვერდითი ამონაყრების მისაღებად შედარებით მეჩხერი რგვის სქემას მიმართავენ: 60 სმ რიგებს შორის და მცენარეებს შორის მანძილი რიგებში 40-45 სმ.

მოვლა

მცენარის ირგვლივ ნიადაგს რეგულარულად აფხვიერებენ. ზაფხულში მოვლა შემოიფარგლება მორწყვით და ნიადაგის ტენიანობის შენარჩუნებით, ტენიანობის შენარჩუნებისთვის ყოველი მორწყვის შემდეგ საჭიროა გაფხვიერება. იყენებენ მულჩირებასაც.

ბროკოლი ბევრ წყალს მოითხოვს, მასზე ცუდად მოქმედებს ნიადაგის გამოშრობა, თუმცა არც უნდა დავაჭაობოთ.

მოსავლიანობის გაზრდის მიზნით პერიოდულად მცენარეს აძლევენ დამატებით საკვებს.

პირველი კვება ხორციელდება ჩითილის გადარგვიდან 15-20 დღის შემდეგ წუნწუხი შეფარდებით: 20ლ წყალი და 1კგ ნაკელი, ხარჯვის ნორმა 0.5 ლიტრი 1 მცენარეზე.

მეორე კვება პირველიდან 10 დღის შემდეგ წუნწუხი შეფარდებით: 20ლ წყალი-1კგ ნაკელი, ხარჯვის ნორმა 1 ლიტრი 1 მცენარეზე.

მესამე კვება მეორედან 10 დღის შემდეგ წუნწუხი შეფარდებით: 20ლ წყალი-1კგ ნაკელი, ხარჯვის ნორმა 6-8 ლ. 1მ2.

თუ ბროკოლი მოგვყავს პირდაპირი თესვის წესით, კვება ამოსვლიდან მხოლოს 3 კვირის შემდეგაა რეკომენდირებული.

მოსავლის აღება

ბროკოლის თავები გრუნტში ჩითილის გადარგვიდან 20-25 დღეში ყალიბდება, მოსავალს კი 30-35 დღეში იძლევა.

ზრდასრულ, ფორმირებულ ყვავილედს ჭრიან ბუტონის გახსნამდე (გახსნილი ყვავილედი მაგრდება და საკვებად უვარგისია);

ძირათადი თავის მოჭრის შემდეგ მცენარე იტოტება, ვითარდება გვერდითი ყლორტები-ეს მეორე მოსავალია, ისინიც თავის დროზე უნდა მოიჭრას, თორემ რამდენიმე დღეში აყვავდება და საჭმელად უვარგისი გახდება.

კვებითი ღირებულებით ბროკოლი ყვავილოვან კომბოსტოზე მაღლა დგას. ბროკოლი შეიცავს დიდი რაოდენობით (, 1, 2, , ჩ,) ვიტამინებს, მინერალებს და მიკროელემენტებს. ამიტომაც ურჩევენ დიეტოლოგები მოსახლეობას შეიტანონ ის კვებით რაციონში.

ბროკოლში შემავალი ნივთიერებები ხელს უშლის თირკმელების დაავადებების და ათეროსკლეროზის განვითარებას, წმენდს ორგანიზმს შლაკებისა და მძიმე მეტალებისგან. .სწორედ ამიტომ,ბროკოლი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და დაფასებული ბოსტნეულია იმ საზოგადოებისთვის, რომელიც ჯანმრთელობაზე ზრუნავს. ანტი-სიმსივნური ნივთიერებები და რეკომენდირებულია ყველა ჯანმრთელ დიეტაში.

ბროკოლი, რომელსაც ასევე უწოდებენ მწვანე ყვავილოვან კომბოსტოს ანდა გრძელ კომბოსტოს, ვიტამინების , , ჩ, და ფოლიუმის მჟავის მდიდარი წყაროა. ბროკოლი ასევე შეიცავს ადამიანის ორგანიზმისთვის სასარგებლო მინერალურ მარილებს, როგორცაა კალიუმი, კალციუმი. რკინა, ფოსფორი, სელენიუმი და მაგნიუმი.

ბროკოლი — ანტისიმსივნური ბოსტნეული

ხილისა და ბოსტნეულის რეიტინგებში ბროკოლს პირველი ადგილი უჭირავს კიბოსთან მებრძოლ ბოსტნეულთა კატეგორიაში. ეს ბოსტნეული სულფორაპჰანეის მდიდარი წყაროა, ანტიოქსიდანტური თვისებების მქონე ქიმიური ნივთიერება, რომელიც გამოიყოფა საკვების ღეჭვის დროს. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ეს ნივთიერებები მხოლოდ სიმსივნურ უჯრედებს ებრძვიან ისე, რომ ზიანს არ აყენებენ ჯანმრთელ უჯრედებს. უფრო მეტიც, სულფორაპჰანე-ი ზრდის ფერმენტების რაოდენობას, რომლებიც ეხმარებიან სხეულს, გამოდევნოს ის უსარგებლო ნივთიერებები, რომელსაც ორგანიზმი გამოყოფს. დამტკიცებულია, რომ ბროკოლის რეგულარული მოხმარება ამცირებს კარცინოგენებისა და ფილტვებისათვის მავნე ნივთიერებებს, როგორიცაა ბენზოლი და აკროლეინი (მათ შეუძლიათ, პერმანენტულად დააზიანონ ჩვენი დნმ). ბროკოლიში არსებულ პიგმენტებს, როგორიცაა ბეტა-კაროტინი და ქლოროფილი, ასევე აქვთ ანტისიმსივნური თვისებები.

ბროკოლი რეკომენდებულია დიაბეტით დაავადებულთათვის

ბროკოლი რეკომენდებულია დიაბეტით დაავადებული ადამიანებისთვის. ეს ბოსტნეული ქრომის მდიდარი წყაროა, რომელიც მსგავსია ინსულინის — ჰორმონის, რომელიც უზრუნველყოფს გლუკოზის მინოდებას ყველა უჯრედისთვის. შესაბამისად, ეს ელემენტი არეგულირებს პანკრეასის გამართულ მუშაობას (ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ინსულინის გამომუშავებაზე).

ბროკოლი და სისხლის მიმოქცევის სისტემა

ვიტამინი , რომელსაც ბროკოლი შეიცავს, მნიშვნელოვან როლს ასრულებს კალციუმის შეწოვაში და ასევე ამცირებს თრომბების ფორმულირების რისკს ორგანიზმში. უფრო მეტიც, ბროკოლი მნიშვნელოვანი ინგრედიენტია იმ ადამიანთა დიეტაში, რომლებიც დაავადებულნი არიან ანემიით. იგი არის რკინის, ფოლიუმის მჟავისა და ვიტამინის წყარო — რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სხეულში სისხლის ახალი წითელი უჯრედების შექმნაზე.

მოამზადა: ია გიგიაშვილმა

ბულგარული წიწაკა

სამშობლოში, ამერიკაში, ბულგარული წიწაკა ბუჩქებად ხარობს. გასაოცარი ის არის, რომ ამ მრავალწლიან მცენარეს არ სჭირდება არც სარეველებისაგან გაწმენდა და არც სხვაგვარი მოვლა. მის ნაყოფს მეცნიერები ცრუს უწოდებენ. სელექციონერებმა მრავალწლიანი გამოცდილების შედეგად ამ წიწაკის არაერთი ჯიში გამოიყვანეს. მათი გარჩევა ჩვენ მხოლოდ ფერითა (ყვითლიდან ყავისფერამდე) და ფორმით შეგვიძლია. რატომ ეწოდება ამ წიწაკას ბულგარული, დღემდე საიდუმლოდ რჩება, თუმცა ჩვენთვის მთავარი მცენარის წარმოშობა და სახელი კი არა, მისი განსაკუთრებული კვებითი ღირებულებაა.

ბულგარული წიწაკის შედგენილობა

ამ მცენარის შემადგენლობაზე საუბრისას ბევრს უმალვე ც ვიტამინი გაახსენდება. ეს შემთხვევითი არ არის — ბულგარული წიწაკა მისი შემცველობით მართლაც რეკორდსმენია. ამ თვალსაზრისით ის ლიმონსა და შავ მოცხარსაც კი ჯობნის. გარდა ც ვიტამინისა, ბულგარული წიწაკა მდიდარია ვიტამინით, კაროტინით (პროვიტამინით) და ჯგუფის ვიტამინებით, შეიცავს კალიუმსა და ნატრიუმს, აგრეთვე — ფოსფორს, თუთიას, რკინას, იოდს, კალციუმსა და მაგნიუმს. შემადგენლობა, როგორც ხედავთ, მეტად შთამბეჭდავია. დამახასიათებელ და საუცხოო გემოს კი ბულგარულ წიწაკას ალკალოიდი კაპსაიცინი ანიჭებს. სწორედ მისი შემცველობის გამოა ეს წიწაკა კუჭისთვის სასარგებლო.

ბულგარული წიწაკის მარგებლობა

თავისი მდიდარი შემადგენლობის წყალობით ბულგარული წიწაკა ფასდაუდებელი ბოსტნეულია. მას უდიდესი სარგებლობა მოაქვს ადამიანის ორგანიზმისათვის. მინერალები სისხლს საჭირო კომპონენტებით ამდიდრებენ და ხელს უშლიან ანემიის განვითარებას, აძლიერებენ იმუნიტეტს, ვიტამინების მრავალფეროვნება კი ხელს უწყობს სისხლძარღვთა გამაგრება-განმტკიცებას, თმის ზრდას, აუმჯობესებს კანისა და მისი დანამატების (თმა, ფრჩხილები) სტრუქტურასა და მდგომარეობას. ბულგარული წიწაკა ხელს უწყობს მხედველობის შენარჩუნებას, ძვლოვანი ქსოვილის განმტკიცებასა და განახლებას, დეპრესიული მდგომარეობისგან თავის დაღწევას, ძალთა მოზღვავებას. განსაკუთრებით სასარგებლოა შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის. ბულგარული წიწაკის კიდევ ერთი სასარგებლო თვისებაა მადის აღძვრა, თუმცა ეს უკანასკნელი სპეციალისტებს რამდენადმე საკამათოდ მიაჩნიათ. სამაგიეროდ, მეცნიერული გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ბულგარული წიწაკის მიღება ათხელებს სისხლს, აქვეითებს არტერიულ წნევას, კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და კუჭუკანა ჯირკვლის (პანკრეასის) ფუნქციებზე. ნიღბებსა და საცხებს სწორედ ამ წიწაკის ფხვნილს ამატებენ და ისე იყენებენ რადიკულიტის, ართრიტისა და ნევრალგიის სამკურნალოდ. ბულგარული წიწაკა ფასობს ვიტამინის ანუ რუტინის შემცველობის გამოც. ცნობილია, რომ რუტინი სისხლძარღვებს, მათ შორის — უწვრილეს კაპილარებს, ელასტიკურობასა და სიმტკიცეს უნარჩუნებს, მთელ გულ-სისხლძარღვთა სისტემას კი აახალგაზრდავებს, ამიტომ ბულგარული წიწაკის გამოყენება რეკომენდებულია თრომბოზებისა და ათეროსკლეროზის პროფილაქტიკისათვის. ბულგარული წიწაკა ძალზე სასარგებლოა მათთვის, ვინც გონებრივ შრომას ეწევა, ასევე — ასაკოვანთათვის, რადგან აუმჯობესებს მეხსიერებას, უზრუნველყოფს ყურადღების კონცენტრაციას, ხსნის უძილობას. მისი წყალობით ადამიანი თავისუფლდება სტრესისა და წინადეპრესიული მდგომარეობისგან, ნერვული და კუნთოვანი სისტემების ზედმეტი დაძაბულობისგან. ბულგარული წიწაკა როგორც მამაკაცის, ასევე ქალის ორგანიზმს უნარჩუნებს ახალგაზრდობასა და ჯანმრთელობას, აფერხებს თმის ცვენას. ეს ბოსტნეული განსაკუთრებით კარგია ორსულობისას, როდესაც ძვლოვან სისტემასა და თმას ყველაზე მეტად სჭირდება ელემენტებით შევსება.

რა უნდა ვიცოდეთ

წიწაკაში შემავალი ყველა სასარგებლო ნივთიერება თავმოყრილია ნაყოფის ყუნწში, მის შიდა, მოთეთრო რბილობსა და თესლში, ეს კი ის ნაწილებია, რომლებსაც ჩვენ პრაქტიკულად ყოველთვის ვყრით. კარგი იქნება, თუ მთელ წიწაკას ან მთლიანი ნაყოფისგან გამოწურულ წვენს მირთმევთ. ნურც ის დაგაინფდებათ, რომ თერმული დამუშავების დროს ნაყოფი სასარგებლო ნივთიერებათა 70%-ს კარგავს. ბულგარული წიწაკა თავისთავად უვნებელია, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც მისი მიღება უნდა შეიზღუდოს ან საერთოდ გამიორიცხოს. კერძოდ, ასეა:

გულის იშემიური დაავადების;ღვიძლისა და თირკმლის პათოლოგიების;კუჭის წყლულოვანი დაავადების ან მაღალი მჟავიანობით მიმდინარე გასტრიტის (კუჭის ლორწოვანის ანთება) დროს.

ყველა ცალკეულ შემთხვევაში ექიმი დიეტოლოგი განსაზღვრავს, რამდენი ბულგარული წიწაკის მიღებაა ნებადართული, ვინაიდან ცალკეული ეთერზეთების, უხეში უჯრედისისა და განსაზღვრული კომპონენტების ჭარბი შემცველობის გამო ამ ბოსტნეულმა შესაძლოა ზემოთ ჩამოთვლილი დაავადებები გაამწვავოს. დაავადების მკურნალობაზე ადვილი ხომ მისი თავიდან აცილებაა, ამიტომ დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს პროფილაქტიკას. ის, ვინც დღეში 40 გრამ ბულგარულ წიწაკას მაინც მიირთმევს, ჩ ვიტამინის დღეღამურ დოზას იღებს, ამ ვიტამინს კი ბევრი დაავადების პროფილაქტიკა შეუძლია — იგი იცავს გულ-სისხლძარღვთა სისტემას, ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას, ნერვული და კუნთოვანი სისტემების ფუნქციობას, აჯანსაღებს ქსოვილებს. თრომბოზების პროფილაქტიკისა და ახალგაზრდობის შენარჩუნებისთვის დღეში 40-50 გრამი წიწაკის წვენის დალევაა რეკომენდებული.

თეთრთავიანი კომბოსტოს მოვლა-მოყვანა

კომბოსტოსნაირები გაერთიანებულია ჯვაროსანთა ოჯახში და რასსიაცეალ გვარში. კომბოსტოსნაირებია: თეთრთავიანი, წითელთავიანი, სავოიის, ბრიუსელის, ყვავილოვანი, ფოთლოვანი, ბროკოლი და კოლრაბი.

თეთრთავიანი კომბოსტო ორწლიანი კულტურაა, პირველ წელს ივითარებს ფოთლებს და პროდუქტიულ ნაწილს თავის სახით, ხოლო მეორე წელს გამოაქვს საყვავილე ღეროები და თესლს იძლევა. მისი მოყვანა შესაძლებელია ზღვის დონიდან 1800-2000 მეტრ სიმაღლეზე.

თეთრთავიანი კომბოსტოს მრავალი ჯიში არსებობს. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან მორფოლოგიურად და სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობით. თავების ფორმის მიხედვით შეიძლება იყოს მრგვალი, ბრტყელი, წაგრძელებულ-კონუსისებრი ფორმის. პერიოდების მიხედვით არის: საადრეო, საშუალო-საადრეო, საშუალო საგვიანო და საგვიანო.

თეთრთავიანი კობმოსტო სიცივის ამტანი მცენარეა. თესლი მასობრივად 60გრადუსზე ღივდება. ხოლო აღმონაცენი ოპტიმალურ ტემპერატურაზე 180-200გრადუსზე 3-4 დღეში მიიღება. ის ძალიან მგრძნობიარეა მაღალი ტემპერატურის მიმართ. კომბოსტოს წინამორბედად ითვლება მრავალწლიანი ბალახები. დაუშველებელია მისი თესვა ან დარგვა კომბოსტოსნაირი კულტურების — აგრეთვე ბოლოკის, თალგამის, წიწმატის შემდეგ.

კომბოსტოს მოსაყვანად ყველანაირი ნიადაგი გამოიყენება. ნიადაგის რეაქცია =5-5,8-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. კომბოსტოს დასარგავად უნდა შეირჩეს კარგად განათებული ნიადაგი.

თესვა

კვალსათბურებსა და სათბურებში კომბოსტო ითესება მწკრივებად ან მობნევით 1-1.5სმ სიღრმეზე, 15-20გ/მ-ზე. გამეჩხერება ხდება 2 ნამდვილი ფოთლის ფაზაში. მცენარეებს შორის მანძილი 4-5სმ რჩება. ძირითადად ირგვება 35-45 დღეში.

კომბოსტოს დარგვა შემოდგომაზე

საქართველოს ბარის ზონაში ზღვის დონიდან 500 მეტრამდე კომბოსტოს დარგვა უმჯობესია შემოდგომაზე. დარგული ჯიშები უნდა იყოს გრძელსტადიური აჩოყებისადმი გამძლე. გადასარგავ ჩითილს უნდა ჰქონდეს 4-5 ნამდვილი ფოთოლი, 12-15 სმ სიმაღლე, 5-6 მმ ღერო სისქის გადარგულმა მცენარემ უნდა მოასწროს დაფესვიანება და გახარება.

შემოდგომაზე დასარგავი კომბოსტოსთვის ნიადაგი გაწმენდილი უნდა იყოს წინამორბედი კულტურებისგან, შემდეგ სასუქი უნდა შევიტანოთ და დაიფარცხოს.

კომბოსტოს დარგვა გაზაფხულსა და ზაფხულში

კომბოსტო კვალსათბურებსა და სათბურებში საჩითილედ იანვარ-თებერვალში უნდა დაითესოს და ღია გრუნტში მარტ-აპრილში გადაირგოს. პროდუქცია ზაფხულში ივნის-აგვისტოში მიიღება.

ქართლში, გარე კახეთსა და მესხეთის დაბლობზე, რომელიც 500-1000 მ-მდე სიმაღლეზეა კომბოსტო თებერვალ-მარტში ითესება და აპრილში გადაირგვება. ხოლო მაღალმთიან რაიონებში ზღვის დონიდან 1000-1700 მეტრზე ითესება და მარტსა და მაისში გადაირგვება.

საშუალო და საგვიანო ჯიშები საჩითილედ დაცულ გრუნტში აპრილ-მაისში ითესება და ღია გრუნტში მაისის ბოლოს, ივნისის პირველ ნახევარში დაირგვება. ბარის ცხელ რაიონებში ივნისის პირველ ნახევარში უნდა დაირგოს.

ბრინჯის სასარგებლო თვისებები და უკუჩვენებები

ბრინჯი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო ზოგიერთი ვიტამინის, მაგალითად: თიამინი, რიბოფლავინი, ნიანიცინი, ვიტამინი , რომლებიც აწესრიგებენ ნერვული სისტემის ფუნქციებს და მოქმედებენ კანის, ფრჩხილის და თმის მდგომარეობაზე.იგი შეიცავს კომპლექსურ კოლიჰიდრატებს, რის გამოც ბრინჯი ადამიანს არ ასუქებს, პირიქით ის ხელს უწყობს მის გახდომას.ბრინჯის შემადგენლობაში შედის ამინომჟავეები,რომლებიც ადამიანის ორგანიზმში ახალ უჯრედების წარმოქმნას ხელს უწყობენ. ბრინჯის მარცვლები შეიცავენ 7-8%ცილას. ფაქტია, რომ ბრინჯი სხვა მცენარეებისგან განსხვავებით არ შეიცავს მცენარეულ ცილას, რაც ინვევს ადამიანში — ალერგიას, აგრეთვე ის შეიცავს ლეციტინს-ყველაზე საუკეთესო მკვებავს ტვინის უჯრედების, ოლიგოსაქარიდის — კუჭის მოქმედების გამომასწორებელის,გამაამინომჟავას — სისხლის წნევის სტაბილიზატორს.

ბრინჯი შეიცავს დიდი რაოდენობით კალიუმს. ეს მინერალი ანეიტრალებს ორგანიზმზე მარილის მოქმედებას, რომლებიც ორგანიზმში პროდუქტებთან ერთად ხვდება. ბრინჯში გხვდება მცირე რაოდენობით ფოსფორი, თუთია, კალციუმი და იოდი. დიდი რაოდენობით ბრინჯის მიღება არ შეიძლება, რადგან იგი ასევე შეიცავს მცირე რაოდენობით ნატრიუმს, რომელიც ახდენს ცხიმების დაგროვებას ორგანიზმში. გაურეცხავ ბრინჯში დიდი რაოდენობით არის კოქტეილი აქტიური ნივთიერებების, რომლებიც ხელს უწყობენ შლაკების გამოდევნას. ბრინჯი არის საუკეთესო ენერგიის წყარო. შლაკების გამოსადევნად ყველაზე კარგი არის ყავისფერი გაურეცხავი ბრინჯი. მნიშვნელოვანია, რომ ბრინჯისგან მომზადებული საჭმელს არ მოვაყაროთ მარილი, რადგან იგი აკეთებს ნაერთს წყალთან და აკავებს მას ორგანიზმში. რაც უფრო მაგრად არის მოხარშული ბრინჯის მარცვლები, მით უფრო მცირე რაოდენობითაა სასარგებლო მინერალები და ვიტამინები მასში.

ბრინჯის საზიანო თვისებები — ბრინჯი იწვევს ადამიანებში კუჭის აშლას ,რაც უარყოფითად მოქმედებს კუჭზე. იგი ასევე შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ ორგანიზმზე მაგალითად: ფიტინის მჟავა, რომელიც ხელს უშლის ორგანიზმში რკინის და კალციუმის შენოვას.

როგორ გავიმარტივოთ ცხოვრება — რჩევები ალექსანდრე ჯეჯელავასგან

ამქვეყნად ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო და სასარგებლო რამ, ალბათ საინტერესო ადამიანებთან ურთიერთობაა. ადამიანს უსმენ და ხვდები, რომ მისგან ისეთ აზრს მოისმენ, რომელიც არასოდეს გაგიგია. ეს აზრი კი ნამდვილად არ იქნება უსაფუძვლო, რადგან იცი, რომ მის უკან გამოცდილება, განათლება, ინტელექტი იმალება ყოველთვის ცდილობ საინტერესო ადამინთან საუბრისას მისი ნათქვამი ყოველი სიტყვა „დაიჭირო", გაიაზრო და შენთვისვე სასარგებლოდ გამოიყენო. ერთ-ერთი გზა ჩვენი განვითარებისა, სწორედ ასეთ ადამიანებთან ურთიერთობაა. სწორედ მათთან შეხვედრის შემდეგ ვინყებთ განსხვავებულად ფიქრს, ვუყურებთ საგნებსა და მოვლენებს ისე, როგორც მანამდე არასოდეს შეგვიხედავს. მუდამ მაკვირვებს ასეთი ადამიანების აზრებისა და შეხედულებების სიღრმავე. მე ბედნიერ ვარ, რომ ჩემს არც თუ ისე ხანგრძლივ ცხოვრებაში, ასეთ ადამიანებთან ურთიერთობის საშუალება მქონდა, მაქვს და კიდევ მექნება. მათთან ურთიერთობის შემდეგ ძალიან ბევრი რამ მისწავლია და გამომისწორებია. „თბილისი თაიმსი" ამჯერად სწორედ ერთ-ერთ ასეთ ადამიანს — ალექსანდრე ჯეჯელავას ესაუბრა. თქვენ ინტერვიუდან გარდა მისი ბიოგრაფიული მონაცემებისა, გაიგებთ მის მოსაზრებას სხვადასხვა თემაზე, რაც ცხოვრებაში ძალიან გამოგადგებათ.

— მოგვიყევით თქვენი ბიოგრაფია მოკლედ?

— დავიბადე 1973 წელს. ვსწავლობდი პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში, შემდეგ — კომაროვში, რომელიც 1990 წელს წარჩინების ოქროს მედლით დავამთავრე. იმავე წელს ჩავბარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1995 წელს. 1991 წელს მუშაობა დავიწყე კომპიუტერულ კომპანია „კომპი-ში", 1993 წელს გადავედი საქართველოს ეროვნულ ბანკში, სადაც 2000 წლამდე ვიმუშავე საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით. ეროვნული ბანკის შემდეგ „ინტელექტ ბანკში" ვიმუშავე ორი წელი ჯერ IT-ს უფროსად, შემდეგ გენერალური დირექტორის მოადგილედ. ამ ბანკში პირველად ჩამბარდა მარკეტინგი, ღ და კიდევ რამდენიმე სტრატეგიული პროექტი. 2002 წელს შეუერთდი კომპიუტერული კომპანია „თ"-ს გუნდს ტექნიკური დირექტორის როლში და შემდგომ წლებში რამდენიმეჯერ შევიცვალე საქმიანობის მიმართულება. 2007 წელს გადავწყვიტე, რომ თავისუფალი (ფრეელანცე) პროექტის მენეჯერობისკენ წავსულიყავი და ერთი დამსაქმებლისთვის აღარ მემუშავა. მქონდა რამოდენიმე პროექტი ყირგიზეთში, სასომხეთში, საქართველოში. ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი პროექტი „თიბისი" ბანკში იყო. 2008 წელს შემომთავაზეს „თიბისი" ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობა ჯერ IT მიმართულებით, ხოლო 2010 წლიდან, დამატებით, ღ მიმართულებით. 2010 წლის ბოლოს მე და ჩემმა პარტნიორებმა დავაფუძნეთ „მართვის აკადემია", რომელიც დღემდე ჩემი ძირითადი სამსახურია.

— რას ემსახურება „მართვის აკდემია"?

— „მართვის აკადემია" არის ტრენინგცენტრი მოქმედ მენეჯერეთათვის. ჩვენ არ ვასწავლით სტუდენტებს, სამსახურის მაძიებლებს, რიგითებს არამედ მხოლოდ მოქმედ მენეჯერებს ვამზადებთ. ამიტომ, ტრენინგები ეხება მოქმედი მენეჯერებისთვის აქტუალურ თემებს, როგორიცაა: ზოგადი მენეჯმენტი, პროექტების მართვა, IT მენეჯმენტი, ადამიანური რესურსის მართვა, მოლაპარაკება, გაყიდვების და სერვისის მართვა და ა.შ. მე და ჩემმა პარტნიორებმა „მართვის აკადემია„ შევქმენით არა როგორც ბიზნესი, არამედ როგორც იდეის (მისიის) მომსახურე დაწესებულება. იდეა კი ძალიან მარტივია, მაგრამ მნიშვნელოვანია — ჩვენ გვინდა, რომ საქართველოში კომერციულ, სახელმწიფო, არასამთავრობო და მედია სექტორებში მენეჯმენტის ხარისხი გაუმჯობესდეს. ჩვენ გვჯერა, რომ, თუ მენეჯმენტის ხარისხი გაუმჯობესდება, სხვა ყველაფერიც უკეთესობისაკენ წავა. მართვის აკადემიის 5 წლიანი მუშაობის განმავლობაში 3000-მდე მენეჯერი უკვე დაესწრო ჩვენ ტრენინგებს, რაც ძალიან კარგი დასაწყისია. რაც შეეხება ვიდეო ტრეინინგებსა და სტატიებს, მათ ყოველთვიურად ათობით ათასი ადამიანი იყენებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ, მომდევნო 20 წლის განმავლობაში, ქართული მენეჯმენტის განვითარებაში მნიშვნელოვან წვლილს შევიტანთ.

— გვიამბეეთ თქვენი ოჯახის შესახებ. რამდენად დიდი ადგილი უჭირავს მას თქვენს ცხოვრებაში?

— ოჯახს, რა თქმა უნდა, ცენტრალური ადგილი უჭირავს ჩემს ცხოვრებაში. მინდა დავინყო ჩემი მშობლებით, რომლებიც პროფესიონალი მასწავლებლები და მკვლევარები იყვნენ. მეც ბევრი ძიების შემდეგ, საბოლოოდ, მასწავლებლად და მკლევარად ჩამოვყალიბდი. ეფიქრობ, რომ ამის ერთ-ერთი მიზეზი მათი გავლენაა. მშობლები ჩემთვის ძალიან საპატივცემულო და საინტერესო საქმეს ღირსეულად აკეთებდნენ და, ალბათ, ეს ჩაიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში. ჩემი და — მაია მიქაშავიძე — მასობრივი კომუნიკაციების დოქტორი და პროფესორია. აშშ-ში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და ახლახანს დაბრუნდა საქართველოში. მოკლედ, ისე მოხდა, რომ ორივენი მშობლების კვალს გავყევით.

რაც შეეხება ჩემს საკუთარ ოჯახს, წელს გახდება 22 წელი, რაც მე და ნატო შევუღლდით. ისიც მართვის აკადემიაში მუშაობს. გვყავს ორი გოგონა, 20 და 12 წლის. უფროსი — მაკო თავისუფალ უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში სწავლობს. მანაც კომაროვის სკოლა დაამთავრა, ახლა წარმატებულია და მოსწონს, რასაც აკეთებს, ცალკე ცხოვრობს და ჩვენგან დამოუკიდებლად, ძალიან კარგად მიჰყავს თავისი საქმეები. ჩვენი ელენე შარშან გადავიდა კომაროვში და ძალიან კარგად სწავლობს. ვნანობ, რომ საკმარის დროს ვერ ვუთმობ ჩემს შვილებსა და ოჯახს, მაგრამ, ამის მიუხედავად, ცენტრალური, ნათელი წერტილი ჩემს ცხოვრებაში სწორედ ჩემი ოჯახია. მოტივაციას მიმაღლებს ის, რომ მათთვის მე უნდა ვიყო მაგალითი (და ასეთი კარგი ხალხისთვის რთულია უკეთესი მაგალითის ჩვენება). ვფიქრობ მშობლების მთავარი მოვალეობა შვილების აღზრდასთან ერთად, მათთვის კარგი მაგალითის ჩვენებაა. ჩვენ მშობლებსაც არ ჰქონდათ, ხშირად, საკმარისი დრო, მაგრამ პატიოსანი, წესიერი, განვითარებაზე ორიენტირებული ცხოვრების მაგალითი გვიჩვენეს. ძალიან მინდა, რომ ჩემს შვილებიც ასე გვხედავდნენ ჩვენ.

— როგორ არჩევთ და აანალიზებთ ტრენინგების თემებს, რომელზეც აპირებთ მუშაობას?

— თემატიკას ვარჩევთ ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე, თავად არაფერს ვიგონებთ. მეც და ჩემს კოლეგებსაც, ძალიან ბევრი რამ გვაინტერესებს. სულ ვკითხულობთ წიგნებს და ვეცნობით სიახლეებს ფსიქოლოგიის, მენეჯმენტის, გაყიდვების, სერვისის და სხვა მიმართულებით. ტრენინგების ქართული ბაზარი მცირე ზომისაა. ამიტომ გვიწევს ისეთი თემატიკის შერჩევა, რომელსაც, ჩვენს ბაზარზე, საკმარისი მომხმარებელი გამოუჩნდება. ვგეგმავთ სიახლეებს, ვესაუბრებით ჩვენს დამკვეთებს, ვიკვლევთ ბაზარს და ვიგებთ რომელი თემები იქნება საინტერესო მომავალში.

— როგორია ალექსანდრე ჯეჯელავა მეგობრებთან, ახლობელ ადამიანებთან?

— ალექსანდრე ჯეჯელავა მეგობრებთან და ახლობელ ადამიანებთან არის ძალიან მხიარული. მე ჰოროსკოპით ტყუპები ვარ. მიუხედავად იმისა, რომ ჰოროსკოპს დიდად არ ვაქცევ ყურადღებას, სულ მეჩვენება, რომ ჩემში ორი ადამიანი ცხოვრობს. ერთი ძალიან მხიარული და მეგობრული, ხოლო მეორე — მარტო ყოფნისა და ფიქრის მოყვარული.პ-გაქვთ თუ არა გატაცება? რას აკეთებთ თავისუფალ დროს?

— ვისაც უნდა, მკვლევარი იყოს და საკუთარ პროფესიაში განვითარდეს, უნდა ჰქონდეს თავისუფალი დრო, სხვანაირად არ გამოვა. მართვის აკადემიაში ლექციები, ძირითადად, საღამოობით გვაქვს. ამიტომ, დღის განმავლობაში, მაქვს საშუალება წყნარად დავჯდე და წიგნი წავიკითხო. ამგვარად, ჩემი გატაცება ჩემს საქმიანობას ემთხვევა — თან ძალიან მიყვარს კითხვა და თან ამაში „მიხდიან ფულს". ვცდილობ, თვეში 10-15 პროფესიული წიგნი ნავიკითხო მაგრამ მხატვრულ ლიტერატურასაც არ გამოვრჩე. ჩვენს საქმიანობაში ხალხთან ურთიერთობაც ძალიან მნიშვნელოვანია, და ჩემი მეორე „ჰობი" სწორედ ახალი ადამიანების გაცნობა და არსებულ ნაცნობებთან ურთიერთობაა. საქართველოს ფარგლებს გარეთაც ბევრი მეგობარი მყავს, რომლებიც ხშირად ჩამოდიან ჩემთან და მეც ვცდილობ, რომ, პერიოდულად, ვესტუმრო.

— „ამძიმებენ თუ არა ადამიანები დედამიწას"?

— კარგი შეკითხვაა. თითოეული ადამიანი, ჩემი აზრით, უნდა დაფიქრდეს იმაზე, რასაც გარემოსგან იღებს. ჩვენი ყოფის უზრუნველსაყოფად იხარჯება ჟანგბადი და ბუნებრივი რესურსები, იჩეხება ტყეები, მზადდება საკვები და ა.შ. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ თითოეული ადამიანი დედამიწას „ამძიმებს". ყველანი „ნისიად" ვცხო1ვრობთ, ჩვენს გაჩენას, აღზრდას ნინასწარ ხმარდება ადამიანური და ბუნებრივი რესურსები.

თითოეულმა ჩვენგანმა უნდა მოახერხოს საკუთარი ადგილის პოვნა და რაიმე სარგებლის „დაბრუნება" გარემოსთვის. ძალიან ბევრს ჰგონია, რომ ეს ცხოვრება საჩუქრად ერგო და რასაც უნდა იმას გააკეთებს. ჩემი აზრით, ეს ასე არ არის. ვფიქრობ, ჩვენ „კრედიტი" გვაქვს აღებული მშობლებისაგან, სამყაროსგან და ა.შ. და ეს კრედიტი აუცილებლად გადასახდელია.

— გაქვთ თუ არა „კომპლექსები" და როგორ უნდა სძლიონ ადამიანებმა კომპლექსებს?

— „კომპლექსს" შეგვიძლია ადამიანის თავისებურებაც ვუწოდოთ. ყველა ადამიანი განსხვავდება, მაგრამ, ყველას რაღაცის ეშინია, ყველას რაღაც უყვარს, ყველას რაღაც მისწრაფება აქვს ჩემს ცხოვრებას თუ გადავხედავთ, შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან კონკურენტული ადამიანი აღმოვჩნდი. უნდა მოახერხო, რომ შენი ხასიათი, ქცევა, შეხედულებები, დროთა განმავლობაში, შეცვალო უკეთესობისაკენ. ყველა ადამიანი თვითკრიტიკული უნდა იყოს, საკუთარი ნაკლის აღმოსაჩენად. მთავარია, ხედავდე პრობლემას და მის მოსაგვარებლად ყოველდღიურად დგამდე ნაბიჯებს.

— რა უნდა გააკეთოს ადამიანმა იმისათვის, რომ ბედნიერი იყოს? თქვენთვის რაშია ბედნიერება?

— ერთი ნაწილი ბედნიერების არის, რომ ვითარდებოდე, სწავლობდე... საკუთარ დაბადების დღეზე ყოველთვის ვფიქრობ, შარშანდელი ჩემი დაბადების დღის შემდეგ განვვითარდი თუ არა და რა ცოდნა/უნარები შევიძინე. მეორე საკითხია, ვის რაში ადგება ეს ჩემი განვითარება. მე მგონია, რომ ადამიანს რომელსაც ბევრი მიეცა, ბევრი მოეთხოვება.

— ცხოვრებში ძალიან ბევრი სირთულე ხვდება ადამიანს და ისინი ხშირად ამის გამო აპათეაში ვარდებიან, არსებობს რაიმე სააშუალება, რომ ადამიანებმა ეს სირთულეები ნაწილობრივ მაინც გაიმარტივონ?

— სირთულეების დაძლევა თავისთავად არის უნარი. სამწუხაროდ ბევრი ქართული ოჯახი შვილებს სირთულეების დამოუკიდებლად დაძლევას არ ასწავლის. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება დასავლურ და ქართულ აღზრდას შორის სწორედ ესაა. ჩვენი წინაპრებისათვის ბავშვის აღზრდის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო, რომ ის აღზრდილიყო დამოუკიდებელი მოქალაქე. რაც შეეხება ზრდასრულ ადამიანებს, არსებობს დეილ კარნეგის ძალიან კარგი წიგნი „როგორ შევწყვიტოთ ღელვა და დავიწყოთ ცხოვრება". მასში აღწერილია ძალიან ბევრი მეთოდი იმისათვის, თუ როგორ შეიძლება პრობლემებს ფილოსოფიურად შევხედოთ. მე ამ წიგნიდან ძალიან მეხმარება ერთი მეთოდი: როდესაც რაიმეზე ვნერვიულობ, ვფიქრობ 5 წლის შემდეგ ექნება თუ არა მნიშვნელობა ამ „სანერვიულოს". ხშირად აღმოვაჩენ ხოლმე, რომ ახლანდელ „დიდ პრობლემას", 5 წლის შემდეგ საერთოდ აღარ ექნება აზრი.

— ერთ-ერთ გამოსვლისას აღნიშნეთ, რომ „მუღამი" არის ბედნიერების „ელექსირი". თქვენ როდის და როგორ „დაამუღამეთ" ცხოვრება და როგორ ახერხებთ დღემდე, რომ ეს „მუღამი" არ დაკარგოთ?

— არსებობს ასეთი ცნობილი მეცნიერი — მიჰაი ჩიკსენმიჰაი, რომელიც მოღვაწეობს ფსიქოლოგიის სფეროში და მისი ერთ-ერთი „პროგრამული" წიგნი არის „The Flow" — „დინება". სწორედ დინების თავისუფალი თარგმანია „მუღამი". დინება (ანუ „მუღამი") არის ისეთი მგდომარეობა, როდესაც ცხოვრება მიდის თავისით, მიედინება. ერთ-ერთ ცნობილ ადამიანს აქვს ნათქვამი — „ბედნიერება, დასახული მიზნების მიღწევაში კი არა, რაც გაქვს, იმის დაფასებაშიაო".

ბედნიერება ძალიან სუბიექტურია. თითოეული ჩვენგანის გარშემო ყოველთვის საკმარისი სასიხარულო და „საპრობლემოა", რასაც გნებავთ, იმას დაინახავთ.

— რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანმა ცხოვრებაში დაისახოს მიზანი და მისი განხორციელებისათვის იბრძოლოს, მისაღებია თუ არა თქვენთვის ფრაზა „მიზანი ამართლებს საშუალებას"?

გაგრძელება მე-7 გვ. -ზე

...წინსვლა და წარმატებები არ მოკლებოდეს სრულიად საქართველოს ყველა მოსწავლესა და მასწავლებელს...

გასული სასწავლო წლის შედეგების , სამომავლო გეგმებისა და პრიორიტეტების შესახებ ყვარლის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის უფროსი, ქალბატონი ქეთევან ჭიპაშვილი გვესაუბრა.

— ქალბატონო ქეთევან როგორ შეაფასებთ გასულილ სასწავლო წელს. რით გაამოარჩევთ სხვა სასასწავლო წლებისგან?

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტრომ 2015-2016 სასწავლო წელი მთლიანად მასწავლებლებს მიუძღვნა! სახელმწიფომ დაიწყო მასწავლებელზე, მის უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და მოტივაციის ამაღლებაზე ზრუნვა. 2015-2016 სასწავლო წლიდან საპილოტე რეჟიმში ამოქმედდება მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა, რომლის მიხედვით კარიერულ ზრდას თან ახლავს ანაზღაურების მატება, რაც უდავოდ მნიშვნელოვანია პედაგოგთა მოტივაციის ამაღლებისათვის. სახემწიფომ ამ მიზნით ფინანსური რესურსების მობილიზება მოახდინა და უკვე სექტემბერში საქართველოს საჯარო სკოლის ყველა მასწავლებელმა გაზრდილ ი ხელფასი მიიღო. ხელფასის ზრდა 2016 წლის 1 აპრილსაც განხორციელდა და სულ რაღაც წელინადნახევარში მასწავლებლის ანაზღაურება ქვეყანაში საშუალო ხელფასზე მაღალი გახდა.

რაც შეეხება სხვა სიახლეებს, მიმდინარე სასწავლო წელს ჩვენს სკოლებში მოხდა ახალი სასწავლო ინვენტარის შეტანა , ახალი კომპიუტერული ტექნიკის მობილიზაცია, განხორციელდა და ახლაც მიმდინარეობს სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ეწყობა ექიმის კაბინეტები.

— რეფორმების თვალსაზრისით რამდენად წარმატებულად ჩაიარა ამ წელმა?

— ამ საკითხზე დღეისათვის მუშაობს განათლების ექსპერტთა ჯგუფი და უახლოეს დღეებში გახდება საზოგადოებისათვის ცნობილი მათი შეფასება, მხოლოდ ამ შეფასების შემდეგ შემიძლია დავაფიქსირო ჩემი პოზიცია....ისე, მოგახსენებთ, რომ განათლების სისტემა არის ცოცხალი, განვითარებადი მექანიზმი და ყველა რეფორმა საჭიროებს გადახედვასა და დროში გასწორებას...

— რა წარმატებებით დაასრულეს ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსწავლეებმა 2015-2016 სასწავლო წელი?

— 2015-2016 სასწავლო წელი დავამთავრეთ 19 ოქროსა და 8 ვერცხლის მედლით და ასევე „ჩემი პირველი კომპიუტერის ფარგლებში" გვყავს საბაზო საფეხურის 36 ნარმატებული მოსწავლე, რომლებიც საჩუქრად პერსონალურ კომპიუტერებს მიიღებენ.

— როგორ ჩატარდა სამეურვეო საბჭოების არჩევნები, კმაყოფილი ხართ თუ არა შედეგებით?

— სამეურვეო საბჭოს არჩევნები ჩატარდა სამაგალითოდ, ყოველგვარი დარღვევისა და ექსცესების გარეშე....ყველა სკოლას ჰყავს არჩეული, უფლებამოსილი სამეურვეო საბჭო, რომელსაც უდიდესი როლო აკისრია სკოლისა და თემის მომავალი განვითარების საქმეში...

— ახლოვდება ეროვნული გამოცდები. რამდენი აბიტურენტია რეგისტრირებული და რა შედეგებს ელოდებით?

— ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებულია დაახლოებით ოთხასამდე აბიტურიენტი, გამოცდები, მოგეხსენებათ, რომ წელს სხვა ფორმატით იქნება, უფრო ზუსტათ, იცვლება ის, რომ აბიტურიენტებს ტესტი ელექტრონულად მიეწოდებათ...სიახლეა ეს და , ალბათ, სირთულესაც ამაში ხედავენ აბიტურიენტები..., თუმცა თანამედროვე ტექნოლოგიების საუკუნეა და საქართველომაც ფეხი უნდა აუწყოს... ყველა აბიტურიენტს კი ვუსურვოთ წარმატებები!

— როდის დაიწყება ახალი სასწავლო წლისთვის მომზადება, ძირითადად რა სიახლეს უნდა ველოდეთ და რა პრობლემებია გადასაჭრელი?

— ახალი სასწავლო წლისათვის მზადება უკვე დავიწყეთ, ამჟამად სახელმძღვანელოებზე ვმუშაობთ, სკოლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე დაიწყო... ისევე, როგორც ყოველთვის, ყვარლის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლები სრული მზადყოფნით შეხვდებიან ახალ სასწავლო წელს...

— და ბოლოს, როგორი გინდათ, რომ იყოს ახალი 2016-2017 სასწავლო წელი?

— პირველ რიგში, მშვიდობიანი, წარმატებული, ღონისძიებებით, შეხვედრებით, კონფერენციებით, ტრენინგებით, შეფასებებით დატვირთული წელი მინდა რომ იყოს.. თვითოეულმა მოსწავლემ, მასწავლებელმა, დირექტორმა და მშობელმა ბოლომდე შეიგრძნოს პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნის წინაშე და გააკეთოს თავისი შესაძლებლობების, თუნდაც მინიმუმი.... ეს საერთო საქმის წინსვლა იქნება, განათლება, ხომ ჩვენი ქვეყნის ქვაკუთხედია და განათლების დონე, პირდაპირ პროპორციულად აისახება ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაზე....

უფალმა შეგვაძლებინოს გონიერების გამოჩენა, ... წინსვლა და წარმატებები არ მოკლებოდეს სრულიად საქართველოს ყველა მოსწავლეს და მასწავლებელს ...

ესაუბრა ია გიგიაშვილი

რძის ფხვნილზე შემჯდარი საქართველო

მისგან მზადდება მაწონი, არაჟანი, ნაყინი და ყველიც კი...

საქართველოში რძის პროდუქტების წარმოებაში რძის ფხვნილის წილი დაახლოებით 80%-ს შეადგენს. მართალია, მისგან მიღებული ნაწარმი მავნე არ არის, თუმცა არც სასარგებლოა. პრობლემას მცენარეული ცხიმი წარმოადგენს, რომელსაც რძეს, ხაჭოს, არაჟანს თუ სხვა ნაწარმს ცხიმიანობის გასაზრდელად უმატებენ. მცენარეული ცხიმი კი შეიცავს ტრანს-იზომერებს, იგივე ტრანს-ცხიმებს, რაც ადამიანის ჯანმრთელობას დიდ ზიანს აყენებს.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციით 100 გრამ პროდუქციაში ტრანს-ცხიმების გამოყენება 2 გრამს არ უნდა აღემატებოდეს. მიუხედავად ამისა, დღემდე საქართველოში მათი შემცველობა პროდუქტებში ნორმირებული არ არის. ტრანს-ცხიმების ნორმირების რეგლამენტი ძალაში მხოლოდ 2017 წლის 1-ლი აგვისტოდან შევა. როგორც „ბიზნეს-რეზონანსთან“ საუბრისას სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის განყოფილების უფროსი ზურაბ ცქიტიშვილი აცხადებს, იმ პერიოდიდან 100 გრამ პროდუქტში ტრანს-ცხიმის ნორმა 2 გრამი იქნება, ბავშვთა კვებაში კი საერთოდ აიკრძალება.

რძის ფხვნილის გამოყენება დიდი სისწრაფით იზრდება

საქართველოში ფურების დაბალპროდუქტიულობის გამო, რძის ფხვნილის იმპორტი მუდმივად მზარდია. მატულობს წარმოებაში მისი წილიც. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2016 წლის იანვარ-აპრილში ქვეყანაში 5,697.3 ათასი დოლარის ღირებულების 1,5%-იანი ცხიმის შემცველობის რძის ფხვნილი და გრანულები შემოვიდა. ეს წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 28%-ით აჭარბებს. 2015 წლის იანვარ-აპრილში 4,454.0 ათასი დოლარის ღირებულების 1,5%-იანი ცხიმის შემცველი რძის ფხვნილის იმპორტი განხორციელდა. რძის ფხვნილის ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები კი, ბოლო წლების მონაცემების მიხედვით, უკრაინა, ლიტვა, ირანი და ბელგია.

ისეთი რძის ფხვნილი თუ გრანულები, სადაც ცხიმის შემცველობა 1,5%-ზე მეტია, წლებია უკვე საკმაოდ მცირე ოდენობით შემოდის. ეს ნიშნავს, რომ მწარმოებლები, ძირითადად, დაბალცხიმიან რძის ფხვნილს იყენებენ და როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, მას ცხიმის მოსამატებლად მცენარეულ ცხიმს უმატებენ. ეს უკანასკნელი ტრანს-ცხიმებს შეიცავს და ადამიანის ჯანმრთელობისთვის ძალიან მავნეა.

რძის ფხვნილის წილი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოებაში მუდმივად იზრდება. მეწარმეს ფხვნილით პროდუქციის წარმოება იაფი უჯდება, რძე კი ძვირია. მაგალითად, ფერმერულ მეურნეობაში ერთი ლიტრი ნედლი რძე, საშუალოდ, 1 ლარი ღირს. იმ ფერმებში კი, სადაც უცხოური ჯიშის მაღალპროდუქტიული ფურებია, რძის ცხიმიანობაც მაღალი, ერთი ლიტრის ფასი 1,2 ლარს შეადგენს. ერთი კილოგრამი ყველისთვის საჭიროა დაახლოებით 8 ლიტრი რძე, ანუ საშუალოდ 8-10 ლარის. თუ ამას წარმოების პროცესს და შემდეგ რეალიზაციას დავუმატებთ, ერთი კილოგრამი ყველის საშუალო ფასი არა 6 ლარი, რაც დღეს ღირს, არამედ მინიმუმ 10-12 ლარი უნდა იყოს.

„ზაფხულშიც და ზამთარშიც რძის ფხვნილის წილი რძის პროდუქტების წარმოებაში, დაახლოებით, 80%-ს შეადგენს. ზაფხულში, როდესაც წველადობა იმატებს, რძის ფხვნილის გარკვეული რაოდენობა, რაც ზამთარში რძის პროდუქტებზე იხარჯებოდა, ნაყინის წარმოებაში გადადის. ნაყინის სეზონის დასრულების შემდეგ, ისევ სხვა პროდუქტებისთვის გამოიყენება და ასე ბრუნავს.

რაც შეეხება კონკრეტულად ყველს, მის მოსამზადებლად სპეციალურ ფხვნილს იყენებენ. ჩვეულებრივი რძის ფხვნილით იმერული ყველის ამოყვანა შეუძლებელია. თუ გააკეთებ, ვერ გაყიდი, რადგან იფშვნება. ერთადერთი სულგუნია, რომელიც ამ ფხვნილისგან ვერ კეთდება“, — განაცხადა ცქიტიშვილმა.

მავნეა თუ არა რძის ფხვნილი?

სპეციალისტები ამბობენ, რომ რძის ფხვნილისგან დამზადებული პროდუქტი მავნე არ არის, თუ რა თქმა უნდა, წარმოებაში არ იყენებენ მცენარეულ ცხიმს, რომელიც ტრანს-ცხიმებს შეიცავს.

ზურაბ ცქიტიშვილის თქმით, როდესაც რძის ფხვნილს იყენებ წარმოებაში, მომხმარებელი დაზღვეულია ცხოველური დაავადებებისგან, როგორიცაა ბრუცელოზი და ა.შ. რადგან რძის ფხვნილის წარმოებისას რძე მაღალ ტემპერატურაზე შრება და მავნე ნივთიერებაც კვდება. „მაგრამ, მეორე მხრივ, ნატურალური თვისებები დაკარგული აქვს რძის ცილას და მისი სარგებლიანობა, რა თქმა უნდა, ძალიან დაქვეითებულია.

რძის ფხვნილი არის ორი სახის. ერთი — ცხიმიანი, მეორე — უცხიმო. თუ უცხიმო რძე იყიდეს, შემდეგ ცხიმიანობის მოსამატებლად იაფფასიანი მცენარეული ცხიმი შეჰყავთ. მცენარეულ

ცხიმში შედის ტრანს-ცხიმი, რაც ყველაზე მავნე ნივთიერებაა, რაც კი არსებობს. ნატურალურ რძეში არსებული ტრანს-ცხიმი არ არის მავნე, ის არის ბუნებრივი, მაგრამ როცა მცენარეულ ცხიმს იყენებ, რომელიც ჰიდროგენიზირებული გზით არის მიღებული, მაშინ იქ წარმოიქმნება ტრანს-ცხიმები. ის არის ძალიან საშიში და საბოლოო ჯამში, იწვევს სისხლძარღვების დაავადებას და შემდგომ უკვე სიკვდილიანობას“, — განუცხადა „ბიზნეს-რეზონანსს“ ზურაბ ცქიტიშვილმა.

მარტო 2015 წელს საქართველოში 20 ათასი ტონა მცენარეული ცხიმი შემოვიდა, რაც მთლიანად რძის საწარმოებში გადანაწილდა და შემდეგ ის მოხდა არაჟანსა და ნაყინში.

„მცენარეული ცხიმი არის სიკვდილის ფორმულა, თუკი მასში ტრანს-ცხიმის მოცულობა გარკვეულ რაოდენობას აღემატება. ის მცენარეული ცხიმი, რომელიც მიღებულია ჰიდროგენიზაციის შედეგად, არის ტრანს-ცხიმი. მცენარეულ ცხიმში, რომელიც მიღებულია პერეეთერიფიკაციის შედეგად, არ არის ტრანს-ცხიმი, მაგრამ პერეეთერიფიკაცია უფრო ძვირი ღირს, ვიდრე ჰიდროგენიზაცია და ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, იყენებენ მას“, — ამბობს ცქიტიშვილი.

აქვე სპეციალისტი იმასაც აღნიშნავს, რომ ბოლო პერიოდში რძის მწარმოებელ ზოგიერთ კომპანიას შემოაქვს ისეთი მცენარეული ცხიმი, სადაც ტრანს-იზომერის რაოდენობა არის 1%, რაც სრულებით მისაღებია, რადგან მისი სხვა ნივთიერებაში გაზავება ხდება.

„უკვე დიდი ხანია ვითხოვთ, რომ ცხიმებში დადგინდეს ტრანს-იზომერის შემცველობის ნორმა და მისი მეშვეობით განხორციელდეს სახელმწიფო კონტროლი. ახლა კი მთავრობამ გაითვალისწინა ეს მოთხოვნა და ახალი დადგენილება მიიღო. ახალი რეგლამენტით, რომელიც 2017 წლის პირველი აგვისტოდან ამოქმედდება, წარმოებაში ტრანს-ცხიმების გამოყენების ნორმა 100 გრამში 2 გრამი იქნება, ხოლო ბავშვთა კვებაში ტრანსიზომერის საერთოდ გახულება მოხდება. ამ ინიციატივის გათვალისწინებისთვის მადლობა მინდა გიორგი კვირიკაშვილს და დიმიტრი ქუმსიშვილს გადავუხადო“, — დასძინა ცქიტიშვილმა.

მომხმარებელთა უფლებადამცველი მადონა კოიძე ამბობს, რომ წარმოებაში რძის ფხვნილის გამოყენება არ ნიშნავს ფალსიფიკაციას და ის ადამიანის ჯანმრთელობას ზიანს არ აყენებს. პრობლემას მცენარეული ცხიმი წარმოადგენს, სადაც უცნობია, თუ რა რაოდენობით ტრანს-ცხიმია გამოყენებული.

„რძის ფხვნილი ეს არის წყალგამოცლილი რძე და როდესაც წყალს დაუმატებენ, ის ხდება ჩვეულებრივი საღი რძე, იგივე ნატურალური პროდუქტი და არაა მავნე. ერთადერთი ცუდია, თუკი არის მასთან ერთად გამოყენებული მცენარეული ცხიმი. თუკი რძის პროდუქტში ცხიმის პროცენტულობის გასაზრდელად დამატებულია მცენარეული ცხიმი, ეს არის ფალსიფიცირება და მომხმარებლის მოტყუება. თანაც, თუკი ამ მცენარეულ ცხიმში ტრანს-ცხიმის ოდენობა ნორმაზე მაღალია, ის ადამიანის ჯანმრთელობისთვის საზიანოა“, — განაცხადა კოიძემ.

რაც შეეხება კონკრეტულად ტრანს-ცხიმებს, ამასთან დაკავშირებით „ბიზნეს-რეზონანსი“ უკვე წერდა. ამჯერად მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებთ, თუ რამდენად მავნეა ტრანს-ცხიმები და ტრანს-იზომერები. როგორც თსუ ბიოორგანული ქიმიის კათედრის გამგე, პროფესორი რამაზ გახოკიძე ჩვენთან საუბრისას აცხადებდა, ისინი წარმოქმნიან თრომბებს, იწვევენ გულის იშემიურ დაავადებას, მიოკარდის ინფარქტს, შაქრიან დიაბეტს, სარძევე და წინამდებარე ჯირკვლების კიბოს.

მრავალწლიანი სამეცნიერო კვლევებით დადგინდა, რომ ტრანს-ცხიმები ინვევს. დედის რძის ხარისხის გაუარესებას და ძუძუთა ბავშვებზე ამ ცხიმების გადაცემას; პათოლოგიურად მცირე წონის ბავშვთა დაბადებას; საჭმლის მომნელებელი ფერმენტების ბლოკირებას და მეტაბოლიზმის დარღვევას; გასუქებას; ყოველგვარი ანთებითი პროცესის პროვოცირებას; ფერმენტ ციტოქრომ-ოქსიდაზის მუშაობის დარღვევას. აღნიშნული ფერმენტი საკვანძო როლს ასრულებს მავნე ქიმიური ნივთიერებების, კანცეროგენების და ზოგიერთი წამლის (ქსენობიოტიკების) გაუვნებლებაში; იმუნიტეტის დასუსტებას; მამაკაცის ჰორმონის — ტესტოსტერონის დონის შემცირებას და სპერმის ხარისხის გაუარესებას და, აქედან გამომდინარე, უშვილობას; სტრესების მიმართ გამძლეობის მკვეთრად დაქვეითებას.

ელზა წიკლაური /რეზონანსი/

გახსენება

იზა ბაიდოშვილი

ჩემი თაობის თანამოქალაქეებს კარგად ახსოვთ აფთიაქში ქათქათა ხალათით მოფუსფუსე, სანდომიანი გარეგნობის ქალბატონი — პროვიზორი იზა ბაიდოშვილი, რომელიც აფთიაქში მოსული პაციენტების ტკივილით ცხოვრობდა და ბოლომდე იხრჯებოდა მათთვის.

გაცნობის დღიდან, უდიდეს პატივს ვცემდი, როგორც კარგ სპეციალისტს, სანდო და აკურატულ თანამშრომელს, როგორც საუკეთესო მეუღლეს, დედას, სიდედრს, როგორც უსაყვარლეს იზიკო ბებიას, რომელიც მიუხედავად საზოგადოებაში მაღალი ადგილის, იყო თავმდაბალი, ყურადღებიანი, თანამშრომლების გვერდში მდგომი დიდსა თუ პატარა საქმეში.

ივლისი მისი დაბადების თვეა, შთამომავლები და მისი თანამშრომლები საფლავს ყვავილებით შევამკობთ, სანთლებს ავანთებთ, კიდევ ერთხელ გავიხსენებთ გამორჩეული თვისებებით, რითაც სასუფეველი დაიმკვიდრა.

საზოგადოებას მინდა გავაცნო მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსის სტროფები, რომლის დაწერაც განაპირობა მეურნეობის ვენახებში შაბათობაზე ყოფნის დროს განვითარებული საუბრის თემამ, რომელი თემაც, დღეს, ჩემთვისაც მეტად ახლობელია.

დრომ ქარიშხალით გაინავარდა,
ცხოვრების ომში გაკვალულ გზებით
და დაგვიტოვა კუთვნილი ტვირთი
ტკბილი და მწარე განვლილი წლებით...
მახსოვს, ინატრე ახალგაზრდობა,
სათნო მზერაში გამოკრთა სევდა,
მაშინ ვერ მივხვდი, წლების მანძილზე,
შენი სურვილი მუდამ თან მდევდა...
როცა ურემი ლაფში ჩაეფლო,
მაშინ ვიგრძენი დღეთა ფეთება
და ჰორიზონტზეც როცა აღარ ჩანს,
უძირო თვალთა შემოფეთება.
მეც, იმ ასაკში იმასვე ვნატრობ,
იმას მისტირის დაღლილი გული;
გამძლეობისთვის მადლობა უფალს,
აღმართს შემდგარი სპეტაკი სულით...
აგერ, რამდენი წელი დაჭირდა,
რომ მეც მტკენოდა ტკივილით შენი,
ო,... რა გრძელია გზა მოგონების
და რა მცირეა სიცოცხლის დღენი.

აფთიაქელების სახელით
თინათინ მისრიაშვილი

მაია ზაუტაშვილის და იროდი ხაბარაშვილის მონატრება

ტკივილიანი და სევდიანი წლები გადის ჩემო მაიკო, რაც შენ მარადისობაში გადაინაცვლე, მძულს ჩემი თავი, რომ მე ცოცხალი ვარ და შენ მინაში წევხარ.

30 ივნისი შენი დაბადების დღეა, გილოცავ ბებო, დაბადების დღეს ცრემლიანი თვალებით და გულისტკივილით. უშენობას ველარ გაუძლო შენმა საყვარელმა იროდი პაპამ და ისიც შენთან წამოვიდა, პირველი ის მოგილოცავს დაბადების დღეს.

ჩემო ძვირფასო იროდი, ტკბილად ვიგონებ ერთად გატარებულ 50 წელს. იყავ ბრწყინვალე, უღალატო და უწყინარი ადამიანი. ღირსეული კაცის სახელით წახვედი ამ ქვეყნიური ცხოვრებიდან. დატოვე ძვირფასი შვილები, შვილიშვილები და შვილთა შვილები, რომლებიც იამაყებენ შენით.

ღმერთმა თქვენით მიყენებული სიმწარე არ მაკმარა და ახლა უსაყვარლესი ძმა ჯემალ სურამლიშვილი და დისშვილები გივი, თამაზ სეფაშვილები წამართვა.

მსუბუქი იყოს თქვენთვის მშობლიური მიწა, უფალმა ნათელში ამყოფოს თქვენი სპეტაკი და უკვდავი სული.

ზაირა ხაბარაშვილი

ა(ა) იპ „ყვარელწყალმომსახურეობის“ ახალსოფლის უბნის სამსახური თანაგრძნობას უცხადებს თანამშრომელ სოსო ჩოხადარს დედის ნათელა ჩოხადარის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

ალოეს სასარგებლო თვისებები და უკუჩვენებები

ალოეს სამკურნალო თვისებები ბევრ ადამიანში იწვევს ინტერესს. ამისთვის გამოიყენება ალოეს ფოთლები და წვენი, ასევე ალოეს ექსტრაქტი – ალოეს გამხმარი წვენი, რომელსაც საბურს უწოდებენ. მასზე წერდნენ ძველი მკურნალები სამედიცინო ტრაქტატებში. მას გამოიყენებდნენ ბევრი დაავადების სამკურნალოდ და ღირდა ძალიან ძვირი.

თანამედროვე მედიცინაშიც ალოეს წვენი ფართოდ გამოიყენება. მისი წვენიდან იღებენ ბიოგენურ სტიმულატორებს, რომლებიც გამომუშავდება ცოცხალ კანში (მათ შორის მცენარეებში) შიდა და გარე სივრცეზე არასასიამოვნო ფაქტორების ზემოქმედებით.

დღესდღეობით ბიოგენურ სტიმულატორებს იღებენ სამეწარმეო პირობებში. ამისთვის მოჭრილ ალოეს ფოთლებს დებენ სიბნელეში, 0 გრადუსთან მიახლოებული ტემპერატურის პირობებში, 3 კვირის განმავლობაში. იღებენ წვენს, რომელსაც შემდეგ თერმულად ამუშავებენ, აფასოებენ ამპულებად. ისინი გამოიყენება ინექციისთვის, გარე და შიდა მოხმარებისთვის.

ალოეს სამკურნალო თვისებებს იყენებენ მრავალი დაავადებებისას: პირის ღრუს, ყელის, სასუნთქი გზების, თვალის, კანის დაავადებებისას, დამწვრობის, ჭრილობებისას. კურნავს კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, სქესობრივ დაავადებებს როგორც ქალის ასე კაცის.

ალოეს წვენი ფართოდ გამოიყენება ხალხურ მედიცინაში. ის აქტიურია ბევრ ბაქტერიასთან ბრძოლაში: სტაფილოკოკთან, სტრეპტოკოკთან, დიფტერიის და დიზენტერიის ჩხირებთან. კოსმეტოლოგიაში ალოეს ნიღბები ძალიან პოპულარულია.

აფთიაქში იყიდება ალოეს პრეპარატები:

საბური. უშვებენ ფხვნილის სახით. ფლობს ძლიერ დამასუსტებელ ეფექტს, რომელიც დგება მისი მიღებიდან 8-10 საათის შემდეგ.

ალოეს წვენი. თხევადი სახით. გამოიყენება გადახვევებისას. მისი მიღებისას უმჯობესდება მომნელებელი სისტემის მუშაობა. გამოიყენება სასუნთქი გზების დაავადებებისას გამოსავლებად.

ალოეს თხევადი ექსტრაქტი და ექსტრაქტი ინექციისათვის. გამოიყენება თვალების, კუჭის, თორმეტგოჯა ნაწლავის დაავადებები დროს ინექციის სახით ან დასალევად.

ალოეს ლიმინენტი. ეს ალოეს წვენია ევკალიპტის ზეთთან ერთად. გამოიყენება გარეგანი დაზიანებებისას: დამწვრობა და ა.შ.

ალოეს კრემ-გელი. ეს არის ალოეს წვენის ნარევი მრავალძარღვის წვენთან, გვირილასთან და სხვა სამკურნალო მცენარეების წვენებთან. გამოიყენებენ ჭრილობების შეხორცების დასაჩქარებლად. ეს არის ანტიანთებითი, ანტისეპტიკური კრემი ნებისმიერი სახის კანისთვის.

ანემიის დროს გამოიყენება ალოეს სიროფი რკინის შემცველობით.

ალოეს რეცეპტები, ალოეს წვენის გარდა, შეიცავენ ლიმონს, კაკალს, წითელ ღვინოს, სხვადასხვა ბალახებს.

ალოეს წვენის მისაღებად უნდა გამოვიყენოთ ალოე რომელიც არაა 3 წელზე ნაკლები ასაკის. უნდა მოვჭრათ მხოლოდ ქვედა ფოთლები. ფოთლების მოჭრამდე სასურველია მცენარე არ მოვრწყათ ერთი კვირის მანძილზე.

ალოეს ახლი წვენი გამოიყენება საჭმლის მონელების გასაუმჯობესებლად, 1 ჩაის კოვზი დღეში 2-3-ჯერ ჭამამდე 30 წუთით ადრე. იყენებენ ასევე გასტრიტისას, დამწვრობებისას.

ალოეს წვენის, თაფლის და წითელი ღვინოს ნარევი (1X1X1 შეფარდებით), რომელიც უნდა დავდგათ ერთი კვირის განმავლობაში თბილ, ბნელ ადგილას, იღებენ იმუნიტეტის გასაძლიერებლად 1 სუფრის კოვზი დღეში 3-ჯერ ჭამის წინ.

ალოესა და თაფლის ნარევი (1/2 წილი ალოე, 1 წილი თაფლი) თევზის ქონის დამატებით კარგად ახორცებს დაინფიცირებულ და დამწვრობით გამოწვეულ ჭრილობებს.

ალოეთი მკურნნალობას აქვს თავისი უკუჩვენებები. პირველ რიგში ეს ეხება დაავადებებს, რომლებსაც ახლავს სისხლდენა. ის ენინააღმდეგება ალოეთი მკურნალობის პროცესს. ასევე არ შეიძლება ალოეს მიღება თირკმელების და კუჭის მწვავე დაავადებების დროს.

ალოეს გარეგანი მოხმარებისას ერთადერთი უკუჩვენება შეიძლება იყოს ალერგია. ნებისმიერ შემთხვევაში ალოეთი მკურნალობის დაწყების წინ ექიმთან უნდა გაიაროთ კონსულტაცია.

როგორ გავიმარტივოთ ცხოვრება — რჩევები ალექსანდრე ჯეჯელავასგან

დასაწყისი მე-6 გვ.-ზე

— ადამიანს აუცილებლად უნდა გაარჩდეს მიზანი. თუ არ იცი, სად გინდა მიხვიდე, ვერ მიხვდები, სწორად მიდიხარ, თუ არა. გუშინ ვიყავი სტუმრად ერთ-ერთ უნივერსიტეტში. ლექციას 100-მდე სტუდენტი ესწრებოდა. კითხვაზე, „რატომ მოვიდნენ“, ნაწილმა თქვა, რომ ჩემზე სმენიათ, ნაწილმა თქვა, რომ ეცალათ და შემოიარეს და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ ლექციას დაესწრებით, თუ სხვა რამეს დაგეგმავთ, რაიმე მიზანი უნდა გამოძრავებდეთ, სხვა შემთხვევაში ვერ მიხვდებით ეს დრო სწორად დახარჯეთ, თუ არა.

— თქვენი აზრით რა არის მსოფლიოს მამოძრავებელი ძალა?

— მთავარი მამოძრავებელი ძალა არის თვითრეალიზაციის სურვილი. ყველა ადამიანში არის ჩადებული საკუთარი თავის გამოვლენის ფარული, მაგიური, ღვთიური ძალა. თითოეული ადამიანი არის დამუხტული ენერგიით და ყველა უნდა შეეცადოს, რომ ეს ენერგია მაქსიმალურად სასარგებლოდ დახარჯოს, ვფიქრობ სწორედ ეს ამოძრავებს მსოფლიოს.

— რა თვისებებია საჭირო XXI საუკუნის ლიდერისათვის?

— ლიდერობის შესახებ ძალიან ბევრი, განსხვავებული და საინტერესო თეორია არსებობს. რამდენიმე მოსაზრებას გაგიზიარებთ. თანამედროვე ლიდერობის კონცეფცია მოკლედ შეიძლება ასე გამოვთქვათ — „შენ მიხედე ხალხს და ხალხი მიხედავს საქმეს“. ასეთი ლიდერები საკუთარ თავზე კი არ საუბრობენ, არამედ გარშემო მყოფ ადამიანებზე.

მეორე საინტერესო მოსაზრების მიხედვით, ლიდერებად ითვლებიან ადამიანები, ვისთან ურთიერთობაც სხვებს აუმჯობესებს. თუ შენთან ურთიერთობის შემდეგ ადამიანი გახდა უფრო მცოდნე, მოტივირებული, უკეთესი, ვიდრე მანამდე იყო, ესე იგი ლიდერი ყოფილხარ.

სხვა მოსაზრების მიხედვით ლიდერი არის ადამიანი, რომელიც თავისმა ხალხმა ნებაყოფლობით აირჩია.

— თქვენ შეხება გაქვთ ახლაგაზრდებთან, დღეს კი ხშირად აკრიტიკებენ მომავალ თაობას. რა პრობლემები აქვს დღეს ქართველ ახალგაზრდობას?

— იმ ურთიერთობიდან გამომდინარე, რაც ახალგაზრდებთან მაქვს, ვფიქრობ, დღევანდელი ახალგაზრდები არიან არაჩვეულებრივი და იმაზე გაცილებით უკეთესები, ვიდრე ჩვენ — წინა თაობა. მე როდესაც ვცდილობ ჩემი შეგნება, ცოდნა განწყობა და სხვა შეხედულებები 20 წლის ასაკში შევადარო დღევანდელ 20 წლისებს, ყოველ ჯერზე ვმარცხდები. დღევანდელი ახალგაზრდების ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს დეზორიენტაცია, მიზნის ჩამოუყალიბლობა. იმდენი შესაძლებლობისა და არჩევანის წინაშე დგანან, ხანდახან ვერ ხვდებიან რა უნდათ. მე, რომ ჯადოსნური ჯოხი მქონდეს, შევეცდებოდი მათ მიზნის ჩამოყალიბებაში დავხმარებოდი.

— განათლება და განათლების როლი XXI საუკუნის მსოფლიოში.

— განათლების როლი XXI საუკუნის მსოფლიოში ისეთივეა, როგორც ყველა სხვა საუკუნეში. განათლება არის მეთოდი, რომ ადამიანი მოვამზადოთ ცხოვრებისათვის. სამწუხაროდ, დღევანდელი განათლების სისტემის ყველა ინსტრუმენტი არ ამზადებს ადამიანს ღირსეული ცხოვრებისათვის. ქართული სკოლა, სამწუხაროდ, კრიტიკულ აზროვნებას არასაკმარისად ასწავლის (იშვიათი ბედნიერი გამონაკლისების გარდა). წარმოიდგინეთ მოსწავლე, რომელიც არ დაეთანხმება თამარ მეფის სიდიადეს, ან შაჰ აბასის ბოროტებას. ასეთი განსხვავებული აზრებს ჩვენი სკოლა კი არ მიესალმება და წაახალისებს, არამედ „გაფთრებით ებრძვის“. სკოლა იმისთვის უნდა იყოს, რომ ბავშვის განვითარება უზრუნველყოს და მისი განსხვავებული აზრები მიიღოს. სკოლამ უნდა მოამზადოს ბავშვი არჩევანის გასაკეთებლად, ასწავლოს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება და ა.შ. განათლების როლი ყოველთვის ეს იყო და ეს იქნება.

— XXI საუკუნეშიც სწავლების ტექნიკა და მეთოდოლოგია იცვლება, მაგრამ როლი უცვლელია.თქვენი აზრით რა თვისებებია საჭირო, რომ ადამიანმა წარმატებას მიაღწიოს?

— წარმატების მისაღწევად ძალიან მნიშვნელოვანია: მიზანდასახულობა, თვითკრიტიკულობა, ცნობისმოყვარეობა. ასევე, გლობალიზაციის პირობებში, ძალიან მნიშვნელოვანი გახდა ადამიანურ ურთერთობასთან დაკავშირებული უნარები. ამაში ვგულისმობ საკუთარი თავის პრეზენტაციის უნარს, ენების ცოდნას, კარგად საუბარს, კარგი შეკითხვების დასმის უნარს და ა.შ.

http://www.ttimes.ge/

ვახტანგ ტაბლიაშვილის 100 წლის იუბილე ყვარელში აღინიშნა

17 ივნისს, ყვარლის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახალხო თეატრში, ქართველი რეჟისორისა და საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს სახალხო არტისტის ვახტანგ ტაბლიაშვილს 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. მოწვეულ სტუმრებთან ერთად იუბილეს, რეჟისორის ოჯახის წევრები, ახლობლები

და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები ესწრებოდნენ. კომპოზიტორმა ვაჟა აზარაშვილმა ვახტანგ ტაბლიაშვილის შემოქმედებასა და მოღვაწეობაზე ისაუბრა, შეასრულა მისი მეუღლის ლექსებზე დაწერილი სიმღერები.ასევე შესრულდა სხვადასხვა საკონცერტო ნომრები, დასასრულს კი ნაჩვენები იქნა ვახტანგ ტაბლიაშვილის შვილის ირაკლი ტაბლიაშვილის დოკუმენტური ფილმი.

ქართველი რეჟისორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი. ასე შევიდა საქართველოს კულტურული ცხოვრების ისტორიაში ვახტანგ ტაბლიაშვილი.

ის 1914 წლის 16 მაისს დაიბადა ყვარელში. მღვდლის ოჯახში დაბადებული

ვახტანგ ტაბლიაშვილი ბავშვობიდან დაინტერესებული იყო თეატრით. 1927 წელს ოჯახი თბილისში გადმოსახლდა, სადაც ვახტანგი ხშირად ესწრებოდა კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის სპექტაკლებს. სკოლის დამთავრების შემდეგ, მან წერილობით მიმართა კოტე მარჯანიშვილს — რეჟისორობა მსურს და მინდა, ეს ხელობა თქვენ მასწავლოთო. მარჯანიშვილი დაინტერესდა წერილის ავტორის ვინაობით, თავისთან დაიბარა და ახალგაზრდა კაცი თანაშემწედ აიყვანა.

1935-1939 წელს, ვახტანგ ტაბლიაშვილი რეჟისორის ხელოვნებას მოსკოვში ეუფლებოდა და ერთი წელი იქვე, სამხატვრო თეატრში დაჰყო, როგორც პრაქტიკანტმა. თბილისში დაბრუნებულმა, კოტე მარჯანიშვილის თეატრში თავისი პირველი წარმოდგენა, ლავრენტი არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ დადგა. ამას მოჰყვა: „გმირთა ვარამი“, „დავით აღმაშენებელი“, „გიორგი სააკაძე“, „მაია წყნეთელი“, „რომეო და ჯულიეტა“, „ანტონიუსი და კლეოპატრა“...

1956-1965 წლებში ვახტანგ ტაბლიაშვილი ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი რეჟისორი იყო და იმუშავა სპექტაკლებზე: „დარეჯან ცბიერი“, „დაისი“, „აბესალომ და ეთერი“, ტრუბადური“ და სხვა.

„რა მიზიდავდა ისტორიული შინაარსის პიესებში? ჩვენი ერის სასიცოცხლო ფესვებში წვდომა“... — წერდა მოგვიანებით რეჟისორი. მისი დადგმები განსაკუთრებული მასშტაბურობით გამოირჩეოდა.

1967 წლიდან ტაბლიაშვილმა მოღვაწეობა განაგრძო კინოსტუდია „ქართულ ფილმში“. გადაიღო ფილმები: „ქეთო და კოტე“ (რეჟისორ შ. გედევანიშვილთან ერთად, 1948), „დიდოსტატის მარჯვენა“ (რეჟისორ დ. აბაშიძესთან ერთად), „ლევან ხიდაშელი“.

მხატვრული ფილმი „ქეთო და კოტე“ შესულია მსოფლიო კინოსაგანძურის 100 საუკეთესო ფილმებს შორის.

ია გიგიაშვილი

ფეხბურთი ჩემი გატაცებაა, მან გამიხსნა ცხოვრების გზა

უფლის წყალობით ყვარლის მუნიციპალიტეტში უამრავი ადამიანია, რომელთაც ცხოვრების გზასავალი ღირსეულად გაიარეს და ამჟამად უანგაროდ შრომობენ, რათა თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეიტანონ ოჯახისა და ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. გაზეთის ამ ნომერში წარმოგიდგენთ ასეთ პიროვნებას, ვინაიდან მისთვის 2016 წელი საიუბილეო წელია. ეს ადამიანი თვისი საქმიანობით უდავოდ იმსახურებს თანამემამულეთაგან დაფასებას.

წყნარი, უპრეტენზიო, სპორტის განვითარებისათვის თავდადებული, კარგი მეოჯახე, საუკეთესო შვილების მამა და შვილიშვილებისათვის უძვირფასესი პაპა — ასე ახასიათებენ ყვარლის კოლორიტ პიროვნებას, ბატონ დავით სომხიშვილს. ბატონ დავითს სახლში ვესტუმრე და ვთხოვე კითხვებზე გაეცა პასუხი.

— ბატონო დავით, რომელ წელში გადმოხვედით ყვარელში და რა მიზნით?

— 1975 წელს ყვარლის „დურუჯის“ ფეხბურთელთა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ზაურ ჩახნაშვილმა და ამვე გუნდის ნამყვანმა ფეხბურთელმა ოთარ ჩიხიაშვილმა შემომთავაზეს ხობის „კოლხეთიდან“ გადმოვსულიყავი ყვარლის „დურუჯში“ სათამაშოდ. კონტრაქტის პერიოდში ისე მომეწონა ყვარელი, ფეხბურთელები და გულშემატკივრები, რომ გადავწყვიტე აქ დარჩენა და აქვე დავოჯახდი.

— თქვენ „აბობოქრებული“ დურუჯის ისტორიას კარგად იცნობთ, გთხოვთ მოგვიყვეთ მის წარმატებებზე და ჩავარდნებზე.

— „დურუჯს“ წარმატებებიც ჰქონდა და ჩავარდნებიც, იგი ხომ საქართველოს უმაღლესი ლიგის ბინადარიც იყო და პრესტიჟულ ადგილს იკავებდა ცხრილში. ჩვენი გუნდის სახელოვან შედეგებს განაპირობებდა ფეხბურთელების სწორი საწვრთნელი ვარჯიშები და რაიონის ხელმძღვანელობის მხარში დგომა, ფინანსური დახმარება. ჩავარდნებს კი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები ჰქონდა. ჩემი აზრით ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს ადგილობრივ ფეხბურთელებზე, ამისათვის კი საჭიროა ნორჩ ფეხბურთელთა დაოსტატებაზე ვიფიქროთ და ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი. სოფლებში უნდა მოეწყოს ფეხბურთის სათამაშო სტადიონები, რაც საშუალებას მისცემს ახალგაზრდებს გაწვრიანდნენ სპორტულ სექციებში, გაიკაჟონ ორგანიზმი და დაოსტატდნენ ფეხბურთის თამაშში.

სოფელ აფენის სკოლა-აკადემიაში ჩვენი საფეხბურთო სკოლიდან წაიყვანეს 12 ბავშვი და ბუნებრივია ისმება კითხვა, რატომ? მიზეზი კი ისაა, რომ აკადემიაში ყოველგვარი პირობაა შექმნილი ფეხბურთელთა ცოდნის ასამაღლებლად და ვარჯიშისათვის. აქვთ სამი სათამაშო მოედანი, გასახდელები, საშხაპეები, რომელთა გარეშე ბავშვების დაოსტატება შეუძლებელია.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან ასეთი პირობები არ გვაქვს, რაიონის ნორჩი ფეხბურთელები წარმატებით გამოდიან კახეთის პირველობაზე. შარშან დაიწყო და ახლახანს დამთავრდა კახეთის რეგიონის ჩემპიონატი, სადაც ორ ასაკობრივ ჯგუფში გახდნენ ჩემპიონები. 2002 წელს დაბადებულთა შორის კახეთის ჩემპიონები არიან ყვარლელი ფეხბურთელები, რომელთაც წვრთნის გენადი სანადირაძე. 2004-2005 წლებში დაბადებულთა შორის კახეთის ჩემპიონები გახდნენ ჩვენი ნორჩი ფეხბურთელები (მწვრთნელი ვანო უსეინაშვილი).

— რა ღონისძიებები უნდა გატარდეს, რომ ფეხბურთი საქართველოში კვლავ აღმავლობის გზას დაადგეს?

— ამისათვის საჭიროა ბავშვთა ფეხბურთის განვითარება, ეს კი დამოკიდებულია ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, ანუ ხელშემწყობი პირობების შექმნაზე. უნდა გამოინახოს ფინანსები, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ვიფიქროთ ფეხბურთის აღმავლობაზე.

— დურუჯის ფეხბურთელთა სახელოვან პლეადას ბევრი გამოაკლდა, გავიხსენოთ როგორები იყვნენ ეს ადამიანები და რა წვლილი მიუძღვით მათ ფეხბურთის განვითარებაში?

— „დურუჯის“ სახელოვან პლეადას შესანიშნავი ადამიანები ქმნიდნენ და მათი დამსახურებით ჩვენი გუნდი ყოველთვის პრესტიჟულ ადგილს იკავებდა საქართველოს ჩემპიონატში. სულ ახლახანს იმ ქვეყნად გავაცილეთ „ჭიკჭიკა“ ელგუჯა ტაკაშვილი. არ შეიძლება დავივიწყოთ აწ განსვენებული ფეხბურთელები, რომლებიც თავგამოდებით იცავდნენ ჩვენი რაიონის ღირსებას. ესენი იყვნენ: ომარ სამიტაშვილი, თემურ წინრიაშვილი, ოთარ ღუჭაშვილი, გივი მენთეშაშვილი, თემურ ტალახაძე, გივი ღლონტი, „ზანგო“ — ოთარ ქანდაურიშვილი, დავით გვენცაძე, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით რაიონის ფეხბურთის წინსვლაში.

— თქვენ ფეხბურთის ოჯახური დინასტიის შემქმნელი ბრძნდებით, თქვენი შვილები წარმატებული ფეხბურთელები არიან, ამჟამად სად მოღვაწეობენ?

— მყავს ოთხი შვილი, შვიდი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი. ამათგან მამის გზას გაჰყვნენ ჩემი შვილებიდან მიხეილი და გიორგი. შვილიშვილებიდან გიორგი აბურჯანია და დავით სომხიშვილი. მიხეილმა და გიორგიმ ფეხი აიდგეს და დაოსტატდნენ ყვარლის „დურუჯის“ გუნდში. მიხეილმა ითამაშა გურჯაანის „ალაზანში“, წნორის „მილანში“, ცხინვალის „სპარტაკში“ და გორის „დილაში“. საბერძნეთში კუნძულ ლიმნოსზე, სადაც რამოდენიმე გამარჯვება აქვს მოპოვებული. ბოლოს კი საფეხბურთო კარიერა დაამთავრა „დურუჯის“ გუნდში.

გიორგი აბურჯანია

დღეისათვის კი მუშაობს თბილისში „სმარტის“ ტექნიკურ მენეჯერად.

გიორგიმ უმაღლეს ლიგაში თამაში დაიწყო 14 წლისამ „დურუჯის“ შემადგენლობაში, სადაც თამაში მოუწია თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ, რაც რეკორდად ითვლება. გიორგი სხვადასხვა დროს თამაშობდა საქართველოს უმაღლესი ლიგის გუნდებში: ქუთაისის „ტორპედოში“, ბათუმის „დინამოში“, ახალციხის „მესხეთში“, საჩხერის „ჩიხურაში“, გორის „დილაში“.

წარმატებული იყო 16 წლამდელთა ნაკრებში მისი თამაში, რომელთაც საქართველოს ფეხბურთის ისტორიაში პირველებმა მოიპოვეს ევროპის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება. გიორგი არის საქართველოს თასის ორგზის მფლობელი, ორგზის საქართველოს ჩემპიონი — (ქუთაისის „ტორპედო“ 1999 წელი და გორის „დილა“ 2015 წელი).

გიორგი სომხიშვილი

ამჟამად უგუნდოდაა, მოწვევები აქვს სხვადასხვა გუნდებიდან, ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი დავით სომხიშვილი (უმცროსი), რომელიც დაბადებულია 2002 წელს. გამოდის საბურთალოს აკადემიის საფეხბურთო სკოლის შემადგენლობაში. იგი ამ გუნდის კარს იცავს წარმატებით. გასულ



წელს იმყოფებოდა ნალჩიკში აფშევის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე, სადაც დაიკავა მესამე ადგილი. მიმდინარე წლის ივლისში კი ეს გუნდი მიემგზავრება შვედეთში, მსოფლიო პირველობაზე ბავშვთა საფეხბურთო სკოლებს შორის.

— ამბობენ თქვენი შვილიშვილი ფეხბურთის მომავალი ვარსკვლავია, სად არის ამჟამად და და რა პერსპექტივები აქვს?

— ჩემი შვილიშვილი გიორგი აბურჯანია არის საბურთალოს საფეხბურთო სკოლის აღზრდილი. თამაშობდა გორის „დილაში“, საიდანაც გადაიყვანეს კვიპროსში, იქიდან კი — ესპანეთში. მისი გუნდი უნდა გადასულიყო ესპანეთის პრემიერ ლიგაში, გადათამაშებაში წააგო. იგი 20 წლისაა და თამაშობს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში, რომელიც ემზადება მსოფლიო პირველობის ჯგუფურ ეტაპზე მონაწილეობისათვის. როგორც ცნობილია იწვევენ ვალენსიაში სათამაშოდ. ვნახოთ, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ.

— თქვენი ეზო-კარმიდამო მართლაც გამორჩეულია თავისი იერ-სახით განსაკუთრებულ მონონებას იმსახურებს მნახველებში, ვისი დამსახურებაა?

— ჩვენი ეზო კარმიდამო გამორჩეულია, ეს კი ჩემი და მეუღლის — მაყვალა ჩაჩიკაშვილის უდიდესი შრომის შედეგია.

— მიუხედავად ასაკისა თქვენ დღესაც აქტიურად მოღვაწეობთ ფეხბურთში და ნორჩ ფეხბურთელებს უზიარებთ გამოცდილებას.

— მიუხედავად ჩემი ჭარმაგობის ასაკისა, დღესაც აქტიურად ვმოღვაწეობ ფეხბურთში მომავალი თაობის აღზრდისათვის. ვარ კახეთის რეგიონის მწვრთნელ-სელექციონერი საზოგადოებრივ საწყისებზე. ფეხბურთი ჩემი გატაცებაა, მან გამიხსნა ცხოვრების გზა. სპორტი ჯანმრთელობაა, ამიტომ ჩავუნერგე ჩემს შვილებს ფეხბურთის სიყვარული. ნათქვამია — „ჯანმრთელ ორგანიზმში ჯანმრთელი სული დევს“.

— და ბოლოს იქნებ გვითხრათ რატომ გეძახიან „მასკვას“?

— 1980 წელს მიწვეული ვიყავი მოსკოვის ოლიმპიადაზე, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისაგან. ჩვენი რაიონის №4 (მაშინ რუსული) სკოლის ფიზკულტურის კოლექტივმა დაიკავა რესპუბლიკაში პირველი ადგილი სპორტულ გამაჯანსაღებელ მუშაობაში, სადაც ვმუშაობდი ფიზკულტურის მასწავლებლად. რაღაც მიზეზების გამო ვერ შედგა ჩემი ოლიმპიადაზე გამგზავრება. ჩემმა „გუნდელებმა — მეგობრებმა შემარქვეს „მასკვა“-80. ზოგჯერ „სოჩასაც“ მეძახიან.

— ბატონო დავით, წინასწარ გილოცავ მოახლოებულ იუბილეს, გისურვებ დიდხანს სიცოცხლეს, შვილებისა და შვილიშვილების სიმრავლეს, მათგან სასიამოვნო სიუპრიზებს სპორტულ ასპარეზობებზე.

ესაუბრა
ალექსანდრე გიგილოშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86